მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო.

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24 ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ. დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნონპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კ. კ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ. შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

0 (1055) ოთხშაბათი 3 სექტემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 200 (1055)

58/3 4067
ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

— ჩინეთში სამოქალაქო ომი ძლიერდება.
— ჩინელ ფაშისტებს მხარს უჭერენ ინგლისელები.
— მაკდონალდი ჟენევაში გაემგზავრა.
— ინგლის-ეგვიპტის დამოკიდებულება მწვავდება.
— ქ. ჰულში გაიხსნა ტრედ-უნიონების კონგრესი.
— საფრანგეთმა ელჩი დანიშნა ბერლინში.
— ესპანელების ჯარები სასტიკად დამარცხდნენ მაროკოში.

„კომუნისტი“

გრძელდება ხელის მოწერა სექტემბრისათვის

[illegible]რთველოს სოციალისტურ რესპუ[illegible]იკის მუშებს, გლეხებს და ყველა პატიოსან მოქალაქეთ

ამხანაგებო და მოქალაქენო!

[illegible] უკვე გაგებული გექნე[illegible]რთველოს საბჭოთა მთავ[illegible]ცხადება იმის შესახებ [illegible]მელი ხალხის მტრებმა, [illegible]ებმა, ამ რამოდენიმე დღის [illegible]თურაში და ზოგიერთ [illegible]ს მოახდინეს თავდასხმა [illegible] ხელისუფლების თავდა[illegible] მოსამსახურეებზე.

[illegible]ნამაული სისხლის ღვრა, [illegible]მელი ხალხის ავლა-დიდების [illegible]ანგრევა და განიავება და ჩვენი [illegible]მეურნეო აღმშენებლობის შე[illegible]სრება — აი მათი მიზანი და განზ[illegible]!

[illegible] თქვენ კარგად იცით, რომ [illegible]რდანია, ჩხეიძე, წერეთელი და [illegible] დანარჩენი სახელოვანი კრებული [illegible] სოციალ-დემოკრა[illegible] პარტიის ბელადებისა აგერ [illegible]ნადია, რაც გა[illegible] მშრომელი ხალ[illegible] ამჟამად და[illegible] იმყოფებიან და [illegible]ტურ ბურჟუა[illegible]ებიან.

[illegible] გულის გასახა[illegible] ნაძირალა და [illegible]შეების შემწეობით [illegible]-აზნაურობისა და სამღვ[illegible]ბის დახმარებით აპირებ[illegible] მენშევიკები საბჭოთა ხელი[illegible]ის ჩამოგდებას.

[illegible] თქვენი თვალით ნახეთ [illegible]ების მიერ თავმოყრი[illegible] „[illegible]ქარი“ და კარგად გე[illegible]ბათ, თუ ვისგან შესდგე[illegible]სენი.

[illegible] ხალხს სათავეში უდგა [illegible] წოდებული პარიტეტული [illegible]ტეტი, რომელიც მენშევიკე[illegible] წყალობით და შემწეობით ამ[illegible]ებდა ევროპის ბურჟუაზიის [illegible] ნაწყალი ფულის საშუალე[illegible] ჩვენ ქვეყანაში მუშებისა და [illegible]ს ბატონობის მოსპობას.

[illegible] მოსვლაში არ მიუღია მო[illegible]ობა არც ერთ პატიოსან [illegible] არც ერთ გლეხს, არ ყო[illegible] მაგალითი რომ ჩვენი თუნ[illegible]თი წითელი არმიელი მათ [illegible]ს გადასულიყოს.

[illegible]ღვარ-გარეთიდან ხელმძღვა[illegible]ის გამწევებმა (ჟორდანია, [illegible]ელი, ჩხენკელი) იციან კარ[illegible] რა რიგ სძულს და რა [illegible]რულეას უგზავნის მათ ჩვე[illegible]ყნის მშრომელი ხალხი. [illegible]თლონდაც, რომ ვერასო[illegible] ვერ მოიპოვებენ თანაგრძნო[illegible] ჩვენი ხალხის გულში.

მაშ, რას ეწევიან ეს ჭკუა-დამთხვეული ბელადები, რომლებსაც, რომ ჰკითხოთ, საქართველოს მიწა-წყალის შვილათ მოაქვთ თავიანთი თავი?

[illegible] საქციელის შედარება იუდასთან არ შეიძლება — არა. ეს იუდას უსამართლოდ შეურაცხყოფა იქნებოდა! ამბობენ იუდა თავის მასწავლებლის გაცემის შემდეგ იმდენად დასტანჯა სინდისმა, რომ ის წავიდა და თავი ჩამოიღრჩო, ხოლო თავის მოძღვა[illegible] გაცემაში აღებული 30 [illegible]ცხლის ფული თავის დამქირა[illegible]ბს მიაყარა [illegible] სახეში.

[illegible] კი, მათ სინდისი სრუ[illegible] არ [illegible]სებთ, ისინი [illegible] არ სწუხან თავიანთ სა[illegible] საქციელის [illegible] შე[illegible] პირიქით სცდილობ[illegible], რაც [illegible] უფრო ხანგრძლივი სის[illegible] მოახდინონ, რომ მით [illegible] „[illegible]ქარი“ გამოს[illegible] [illegible] თავი ჩამოიღრ[illegible] მაგ[illegible], რასაკვირველია, [illegible] არ ჩამოიღრჩობენ, ესე[illegible] თავს ამ ბინძურის საქმ[illegible] და დამსახურებთ[illegible].

„[illegible]დამოუკიდებლობის“ შეფასება [illegible]სი მსჯავრის გამოტანა [illegible] მშრომელი ხალხის საქ[illegible]ს, ეჭვი არ არის, გამოტანს მათ თავიანთ მსჯავრს, მკაცრსა და საშინელს.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო!!

ჩვენ თქვენთან ერთათ ვიბრძვით ჩვენი დაქვეითებული ცხოვრების დასაწინაურებლათ. ჩვენი მიზანია მოვსპოთ და ძირიან-ფესვიანად ამოვაგდოთ ჩვენი წარსული დუხჭირი ცხოვრების ყოველივე მავნე და მაზარალებელი ზნე-ჩვეულება.

ჩვენ ვცდილობთ ქალაქისა და სოფლის მშრომელი ხალხის მუშისა და გლეხის დაახლოვებასა და დაძმობილებას. ჩვენ ვქმნით საამისო პირობებს.

ჩვენი ქვეყანა აოხრებული და გატიალებული დაგვრჩა ომისა და მენშევიკების შემდეგ: დანგრეული ხიდები, გაფუჭებული გზები. ჩვენ ვაკეთებთ და ვასწორებთ ყოველივე ამას, ვაკეთებთ, რაზედაც კი ხელი მიგვიწვდება.

მოუსავლიანობის წელიწადს ჩვენ ვეხმარებით სოფლის ღარიბ ხალხს სათესლე და საკვები მარცვალის მიცემით.

ჩვენ ვებრძვით სიბნელესა და შეუგნებლობას, ვაშენებთ ახალ სკოლებს, ძალ-ღონეს არ ვიზოგავთ, რომ ფეხი აუდგათ სოფლიდან ცრუ-მორწმუნეობას, ვავრცელებთ წერა-კითხვას, გვინდა რომ ყველას მოხვდეს კულტურული ცხოვრების ცხოველმყოფელი სხივები.

აბა, გაიხსენეთ, რამდენ ალაგას არის ამ ჟამათ დაწყებული ელექტრონის სადგურები, არამც თუ ქალაქში, არამედ შორეულ მიყრუებულ სოფლებშიაც კი.

ჩვენ ფეხზე ვაყენებთ მრეწველობას, მაგრამ ამ მრეწველობას და მისგან მიღებულ სარგებელს ჩვენ რასაკვირველია, კერძო კაპიტალისტებს არ ჩავუყრით ხელში — ის საერთო მთელი მშრომელი ხალხის სასარგებლო საქმეს ხმარდება.

ჩვენ მთელი ძალ-ღონით ვცდილობთ, რომ ავაყენოთ და წინ წავსწიოთ ჩვენი სოფლის მეურნეობა. ქალაქის სამრეწველო საქონლისა და სოფლის მეურნეობის ნაწარმოების ფასების შეფარდებით ჩვენ ვცდილობთ მოვსპოთ სოფლისა და ქალაქის ერთი-ერთმანეთისაგან დაქსაქსვის და ერთმანეთისაგან გათიშვის მიზეზი და საბაბი.

ჩვენ ქალაქის მუშას და სოფლის გლეხს ვაერთებთ და ვაკავშირებთ საერთო სახალხო მეურნეობის ასაყვავებლად და ასამაღლებლათ და მათ მჭიდრო კავშირზე ვაფუძნებთ საბჭოთა ქვეყნის შიგნიდან და გარედან განუტეხელ ციხე-სიმაგრეს.

ამ მუშაობის, ამ საქმის სათავეში სდგას **საქართველოს კომუნისტური პარტია**, როგორც შეერთებული და განუყრელი ნაწილი ამიერ-კავკასიისა და მთელი დიდი კავშირის ს. ს. რესპუბლიკების სხვადასხვა ეროვნულ კომუნისტურ პარტიებთან ერთად რუსეთის კომუნისტურ პარტიისა, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მთავარი ღერძის.

კომუნისტური პარტია მუდამ ებრძოდა და ებრძვის ყველა ქვეყნის ბურჟუაზიას და იმპერიალისტებს.

კომუნისტური პარტია მოსისხლე მტერია მოღალატე და მუხანათ სოციალ-დემოკრატიის და მეორე ინტერნაციონალის, რომლის რიგებსაც „ამშვენებენ“ საქართველოდან გაქცეული მენშევიკური პარტიის ბელადები: ჟორდანია, ჩხეიძე, ჩხენკელი და სხვ.

აი ეს [illegible] წელებზე ფეხებს იდგამენ, რომ თავიანთი ბინძური მოქმედებით ჩვენს მტრებს საკბილო მასალა უშოვონ, რომ პუანკარესა და იუზს საშუალება მისცენ ჩვენ წინააღმდეგ ხელახალი მახვილის გასალესავათ.

[illegible]ულიმც იყოს მათი სახელი.

[illegible]რს ყაჩაღებისა და ქურდების მეთაური მენშევიკური პარტია და [illegible]ინდის-ზამთხზე ხელდებული „ბელადები“!

[illegible]ძირს მეორე ყვითელი ინტერნაციონალი, წამბილწველი და მოღალატე რევოლიუციის და მუშათა კლასისა!

გაუმარჯოს ჩვენ მუშურ-გლეხურ საბჭოთა ქვეყანას და მის უძლე[illegible] სიმტკიცეს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს და გაერთიანებულ საბჭოთა ამიერ-კავკასიას!

გაუმარჯოს ს. ს. ს. რესპუბლიკების დიდ კავშირს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

ძირს იმპერიალიზმი და საზიზღარი მენშევიზმი!

მ. ცხაკაია.

ბნელი ძალების უკანასკნელი ამოხვნეშა

ჩვენ მუდამ ელაპარაკობდით და ვწერდით მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიაზე საერთოთ, საქართველოს მენშევიკურ პარტიაზე კერძოთ, რომ მან დაჰკარგა დიდი ხანია ის ნატამალიც მუშური სოციალური შინაარსის, რომელიც ახასიათებდა ძველათ მას და გარდიქმნა მქონებელ კლასების რეაქციონურ პოლიტიკის მატარებლათ. ამის უამრავ მაგალითებს გვაძლევდა და გვაძლევს ყოველ დღე ამ პარტიის საგმირო მოღვაწეობა უცხოეთში, ამაზევე ღაღადებს მისი პრაქტიკა საქართველოშიც. მან დაჰკარგა მთელი თავისი მუშურ-გლეხური შემადგენლობა ჩვენში, მაგრამ სრული გაკოტრების, დაცემის და დახანაკების დასამტკიცებლათ ძველი დამარცხებებით როდი დაკმაყოფილდა. მან ერთხელ კიდევ მოისურვა ყველასაგან თვალის დაანახათ და ხელის შესავლებლათ. კამოეაშკარავებია თავისი გადაგვარება, დალუპვა და განადგურება. კიდევაც მოიყვანა სისრულეში ეს სურვილი.

სინამდვილის შეცნობის ყოველგვარ უნარს მოკლებულმა და გამოთაყვანებულმა, მაგრამ სწორეთ ამ გამოთაყვანების გამო კიდევ უფრო ძალაუფლებას მოწყურებულმა ავანტიურისტებმა ჟორდანიას მეთაურობით საზღვარგარეთიდან შემოუთვალეს მათ აგენტებს საქართველოში, რომ როგორმე აბაურდით, აბუნტდით, იქნება ამით მივიქციოთ ყურადღება, ამით გავახსენოთ ჩვენი არსებობა ჩვენ ბატონებს, რომლებიც წინეთ მფარველობას გვიწევდნენ და ახლა გვივიწყებენ, იქნებ ამ გზით ჩაიხრებული საქმე როგორმე შემოვატრიალოთო.

და აგენტებიც დაფაცურდნენ: ხმალ-კაპარჭი მოიმარჯვეს, მკლავი „აიმამაცურეს“ და შეუდგნენ „მხედრობის“ შეკრებას. შეკრიბეს კიდევაც და სწორეთ აქ აღმოჩნდა ერთხელ კიდევ მენშევიკების ვინაობა.

მაგრამ ვიზე დაეყრდნენ ისინი თავიანთ ავანტიურისტულ გამოსვლებში, რომლებიც მათ მოაწყვეს ამ დღეებში? აი ვიზე: თავადებზე, აზნაურებზე, რომლებმაც მიწა დაჰკარგეს; ყოფილ ოფიცრებზე ამ თავადაზნაურებიდან, რომლებმაც სამსახური დაჰკარგეს, რადგან ახალი ხელისუფლების ჯარისათვის ისინი გამოუსადეგარი არიან და მტრობენ მას; [illegible]არ-მედუქნეებზე და კულაკებზე, რომლებსაც სასუნთქავი ჰაერის სივრცე შეუვიწროვდათ ჩვენ სოფლებში და ქალაქებში იქ ახალი მუშურ-გლეხური საზოგადოებრიობის ატმოსფერის გამეფების გამო; გარდა ამისა მღვდლებზე — რომლებმაც დაჰკარგეს ანაფორა და... ტაბლა; შემდეგ მოყიალე, უსაქმო, აკადემიურ და არა აკადემიურ ინტელიგენციაზე, რომელთა მცონარე და გამოფიტული უნება შესაფერის „სულიერ საზრდოს“ პოულობს ჩვენი დიდ-ქალაქების ბულვარებზე და ფართო პროსპექტებზე; დაბოლოს ამ „პარტიის“ ამალას ამშვენებენ ყაჩაღები და სხვადასხვა ნაძირალები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან ამოკრეფილი შავ ჯურღმულებიდან.

ეგრედ წოდებულმა საზოგადოებამ უნდა იკითხოს დაბოლოს, სად არის ამ „მხედრობაში“ საქართველოს მუშები და გლეხები, სად არიან ის მშრომელები, რომელთა პარტიათ ჰოჰქონდა ოდესღაც თავი „საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას?“ ესენი აღარ ამშვენებენ ამ პარტიის რიგებს. თვით ის საეჭვო ელემენტებიც, რომლებიც შეადგენდენ ამ ავანტიურისტების „ლაშქარს“, როდესაც ჰყრიან იარაღსა და მოდიან ჩვენსკენ მონანიებით, აცხადებენ დღეს, რომ ისინი მთვრალები ჩაითრიეს ავანტიურაში ზოგიერთმა თავზე ხელაღებულმა და მზათ არიან გამოვიდნენ იარაღით ხელში მეთაურების წინააღმდეგ.

ამნაირათ თავად-აზნაურების, კულაკებისა და ოფიცრების გამოსვლა — აი რა მოვლენასთან გვქონდა საქმე ამ დღეებში. თავად-აზნაურების, კულაკებისა და ოფიცრების „პარტია“ — აი რა სახით მოგვევლინა ერთხელ კიდევ მენშევიკური „ცეკა“ და „პარიტეტული კომიტეტი“.

„პარტიას“, რომელიც მოსწყდა მასებს, უკეთესათ რომ ვთქვათ, რომელიც ჩაჰქოლა ამ მასებმა, იბრუნა მისგან პირი, შეეძლო მხოლოდ მოეხდინა პარტიზანული გამოსვლები, მოკლებული მასიურ ხასიათს და ამიტომაც ამ გამოსვლების გმირები შექმნილიყვნენ თვით გლეხების ცულის, ნაჯახისა და კეტების კერძათ სანამ წითელ-არმიელები მივიდოდნენ ადგილებზე. ასეთი იყო ეს „აჯანყება“.

როგორი უნდა ყოფილიყო მიზანი ამ გამოსვლების? რასაკვირველია ისეთი, როგორიც შეეფერება „მამულისშვილების“ სოციალურ ბუნებას ე. ი. ბუნებას თავად-აზნაურებისა, კულაკებისა და ოფიცრებისას: გლეხების „განთავისუფლება“ იმ მიწებისაგან, რომლებიც ჩააბარა მათ საბჭოთა რევოლიუციამ, ხოლო ჩინები და ეპოლეტები მათ, ვისაც აღლიტა ეს „სილამაზე“, რევოლიუციონურმა, მშრომელთა წითელმა ჯარმა.

თავისთავად ცხადია ყოველივე ეს ასისაძაგლე გამოხვეული იყო „თავისუფალი საქართველოს“ ლოზუნგში და „ერის დამოუკიდებლობის“ სამოსელში. მაგრამ ვინ არ იცის დღეს, გარდა ბრიყვებისა და შარლატანებისა, რომ ყოფილი გაბატონებული კლასებისა და წოდებისათვის საქართველოს „თავისუფლება“ ნიშნავს ქართველი თავად-აზნაურების, კულაკების, ბურჟუაზიის და მათი ოფიცრების თავისუფალ თარეშს და მალაყს ქართველი მშრომელი ხალხის ზურგზე? ვინ არ იცის დღეს, რომ „ერის დამოუკიდებლობა“ ამავე მუქთახორებისა და ბანდიტების გაგებით მომასწავებელია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მშრომელი ხალხისაგან და რევოლიუციისაგან, ხოლო იმავე დროს სრული დამოკიდებულების შინაურ და უცხოელ ბურჟუაზიისაგან, იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან, მომასწავებელი, ერთი სიტყვით, ქვეყნის დამონებისა და დაბეჩავების.

სწორეთ ეს იცის კარგათ მთელმა ხალხმა, ეს აქვს შეგნებული მას და ამიტომ არ ეგება ის ანკესზე, რომელზეც წამოგებულია გულუბრყვილოთა პირველი შეხედვით მიმზიდველი „საკენკი“. ამიტომ „აუგო წესი“ და უგებს კიდევაც ჩვენი მშრომელი ხალხი, მუშები და გლეხობა, ამ ავანტიურისტებს.

საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის მომავალი ბედიღბლისათვის, დღეს კი მუშათა კლასის ნორმალური ცხოვრების წარმართვისათვის და რომელიც უძღვება საბჭოთა ქვეყანას, იცავს რევოლიუციის მონაპოვარს და წესრიგს, — ეს ხელისუფლება მიწასთან გაასწორებს მტრებს ამ რევოლიუციისას და ჩვენი მშრომელი ხალხისას.

იმ დროს, როდესაც ჩვენ მთელ ჩვენი ძალა, ჩვენი ქვეყნის ენერგია აგვიმოძრავებია, რათა შევქმნათ პირობები ხალხის კეთილდღეობის და სოციალისტური წყობილების, როდესაც ვაღწევთ თანდათან ამ მიზნებს და მთელ ხალხთან ერთათ დაკარწახებული ვაშენებთ ახალ ცხოვრებას, ამ დროს შავმა ძალამ ხმალს სტაცა ხელი შავბნელი წარსულის აღსადგენათ და მუშათა კლასის საქმის დასაღუპავათ.

ჩვენ ვნახავთ, რომ ეს ელვარე ხმალი გაჰპობს (როგორც გაჰპო დღემდე) მათ თავებს ვინც პასუხისმგებელია ავანტიურისათვის.

ეს იქნება უკანასკნელი ამოხვნეშა ბნელი ძალების.

გერმანია ანტანტის მონობაში

გერმანიის დამონების გეგმის განხორციელება დაიწყება ხუთშაბათიდან

ამერიკელი ბანკირების აზრით სესხის რეალიზაცია უზრუნველყოფილია

რეიხსბანკის თავმჯდომარე რომში გაემგზავრა

დამონების გეგმის განხორციელება

მოკავშირეების კომისრები მიდიან ბერლინში.

ნაუენი. 2 სექტემბერი. ბერლინში ჩავიდა ინგლისელი იურისტი ფრეზერი, რომელიც აწყობს მთელ რიგ სამმართველოებს და აგენტურებს, რომელთა სათავეში იქნებიან მოკავშირეთა კომისრები. უკანასკნელები ბერლინში ჩავლენ ხუთშაბათს. ამ დღეს ფაქტიურად დაიწყება დოუეს გეგმის ცხოვრებაში გატარება. მოკავშირეთა კომისრებისათვის გამზადებულია ბინები ბერლინის საუკეთესო სასტუმროში.

ახალი შეთანხმება საკონტროლო კომისიასთან ნახშირის მიწოდების შესახებ

ჰანოვერი. 2 სექტემბერი. გერმანიის მრეწველებმა მიაღწიეს ახალ შეთანხმებას საკონტროლო კომისიასთან ნახშირის მიწოდების შესახებ. რაოდენობა და ფასი მისაწოდებელ ნახშირის წინანდელი რჩება. ნახშირის ფასების მოწესრიგება მოხდება გერმანიის მთავრობის მიერ სარეპარაციო კომისიასთან შეთანხმებით.

გერმანიის მთავრობის პროტესტი

დაბრკოლებები გერმანიის იმპორტისათვის.

ნაუენი. 2 სექტემბერი. გერმანიის მთავრობამ პროტესტი განაცხადა იმ დაბრკოლებების წინააღმდეგ, რომლებიც წინ ეღობება გერმანიის იმპორტს საარის ოლქში. გერმანიის მთავრობა აგონებს მოკავშირეებს რომ ვერსალის ხელშეკრულება უზრუნველჰყოფს გერმანიის პროდუქტების თავისუფალ იმპორტს 1925 წლის 1 იანვრამდე.

მოტყუებული ნაციონალისტები

ბერლინი. 1 სექტ. გერმანიის მთავრობის ბურჟუაზიულ ბლოკის შედგენა ნაციონალისტების მონაწილეობით, როგორც სჩანს, არც ისე ჩქარა მოხდება. შტრეზემანის ორგანო „ცეიტი“ აცხადებს, რომ სახალხო პარტიის ფრაქცია არავითარ დაპირებას არ აძლევდა ნაციონალისტებს სამინისტრო პოსტების შესახებ. ნაციონალისტების წრეში დიდი აღელვებაა იმის გამო, რომ ზოგიერთმა ნაციონალისტმა დეპუტატებმა ხმა მისცეს სარეპარაციო კანონ-პროექტს რკინისგზის შესახებ.

სარეპარაციო კომისიაში

პარიზი, 2 სექ. გუშინ სარეპარაციო კომისიამ მიიღო ოფიციალური ცნობა გერმანიის მთავრობისაგან რეიხსტაგის მიერ სარეპარაციო კანონპროექტების მიღების შესახებ. ამის გამო კომისია დღესვე განსაზღვრავს ფინანსიურ და ეკონომიურ ღონისძიებათა გატარების ვადას, რომელიც გათვალისწინებულია დოუესის გეგმით.

რეიხსტაგის გაშვების გამო

ბერლინი. 1 სექტემბერი. რეიხსტაგის შაბათის სხდომაზე უნდა განხილული ყოფილიყო კანონპროექტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ახალ საბაჟო გადასახადების შემოღების შესახებ. კანონ-პროექტის გატარება გერმანიის მთავრობამ აღუთქვა ნაციონალისტებს იმის საკომპენსაციოდ, რომ ნაციონალისტებმა ხმა მისცენ სარეპარაციო კანონ-პროექტს რკინის გზის შესახებ. მაგრამ სხდომის დარბაზიდან კომუნისტების და სოციალ-დემოკრატების გასვლის გამო, სხდომა ჩაშლილ იქნა, რადგან სხდომის დარბაზში ქვორუმი აღარ იყო. იგივე განმეორდა საღამოს სხდომის გახსნის დროს. ამის შემდეგ რეიხსტაგი დათხოვნილი იქნა 15 სექტემბრამდე.

ნაციონალისტები უკმაყოფილონი არიან რეიხსტაგის დათხოვნით.

სესხი გერმანიისათვის

„საკმაო“ გარანტიებს მოითხოვენ.

ნაუენი, 2 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით, სხვადასხვა ქვეყნების ფინანსიური წრეები, რომლებსაც განზრახული აქვთ სესხის რეალიზაცია, სავსებით არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ სესხის გარანტიები საკმარისი იქნება იმ შემთხვევაში, თუ რურის ოკუპაცია გაგრძელებული იქნება და სხვადასხვა სახელმწიფოებს დარჩებათ უფლება დააწესონ გერმანიაზე სანქციები.

სესხის რეალიზაცია უზრუნველყოფილია.

ნაუენი, 2 სექტემბერი. ნიუ-იორკში ჩამოვიდა ამერიკელი ელჩი ბერლინში ხოუტონი, რომელმაც განაცხადა, რომ ის დარწმუნებულია გერმანიის „კეთილ - სინიდისიერებაში“. ელჩის სიტყვით გერმანიის სესხს უფრო მეტი გარანტია აქვს, ვიდრე რომელიმე სხვა საერთაშორისო სესხს, რომელიც დღემდის იყო გამოშვებული.

როდის დაიწყება სესხის განაღდება.

ნაუენი, 2 სექტემბერი. ლონდონის ფინანსიურ წრეებში აცხადებენ, რომ ხელის მოწერა გერმანიის 800 მილიონიან სესხზე დაიწყება, ალბად 15 სექტემბრიდან. ინგლისის ფინანსიურ წრეებს განზრახული აქვთ ხელი მოაწერონ 200 მილიონ ოქროს მარკაზე.

რეიხსბანკის თავმჯდომარე რომში

რომი. 2 სექტემბერი. სტეფანის სააგენტოს თავმჯდომარესთან საუბრის დროს რეიხსბანკის თავმჯდომარემ შახტმა განაცხადა, რომ იმ ეკონომიურ საკითხებს, რომელიც უნდა განიხილონ გერმანიამ და იტალიამ, აქვს დიდი მნიშვნელობა.

სავაჭრო ხელშეკრულებებს, რომელიც დადებული იქნება, საფუძვლად დაედება მშვიდობიანი სავაჭრო ურთიერთობა და არც ერთ ქვეყანას არ მიენიჭება რაიმე ეკონომიური უპირატესობა.

შემდეგ შახტმა განაცხადა, რომ ის დიდ იმედებს ამყარებს ევროპის საემისიო ბანკების თანამშრომლობაზე.

ბოლოს შახტმა განაცხადა, რომ მუსოლინისთან და იტალიის მინისტრებთან საუბრიდან მან გამოიტანა ისეთი დასკვნა, რომელიც ამტკიცებს იტალიის ეკონომიურ აღორძინებას.

საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთი

(საუბარი სპარსეთის წარმომადგენელთან ოსმალეთში).

ბაქო. 1 სექტემბერი. ანგორაში წარმომადგენლად ახლა დანიშნულმა სპარსეთის წარმომადგენელმა ტაბა-ტაბაიმ პრესის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა: ჩვენ გვაქვს და გვექნება ოსმალეთთან მუდამ მეგობრული დამოკიდებულება ჩვენს დიდ მეზობელს — საბჭოთა კავშირის მიმართ ჩვენ დაიჭერთ მუდამ მეგობრულ განწყობილებას, რადგან მან არა—ერთხელ დაამტკიცა თავისი შეურყეველი უანგარობა აღმოსავლეთის ქვეყნების და კერძოთ ოსმალეთისა და სპარსეთის მიმართ. ჩვენ ბევრი შრომა დაგვჭირდება ჩვენს წინაშე წამოჭრილ საკითხების მოსაწესრიგებლად, როგორც არის საზღვრების საბაჟო და სატარიფო საკითხები. ჟურნალისტის კითხვაზე იქონიებს თუ არა რაიმე გავლენას საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე კაბინეტის გამოცვლა ტაბა-ტაბაიმ უარყოფითად უპასუხა. მან სთქვა: საგარეო საქმეთა მინისტრის რიზახანის პოსტზე დარჩენა მომასწავებელია იმისი, რომ საგარეო პოლიტიკის სფეროში არავითარი ცვლილება არ მოხდება. კაბინეტის შემადგენლობის შეცვლა პერსონალური ხასიათის არის. კითხვაზე, თუ რით აიხსნება საბჭოთა კავშირის სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციის დაგვიანება ტაბა-ტაბაიმ უპასუხა, რომ მეჯლისი არჩევდა პირველი მნიშვნელობის საკითხებს, როგორც არის მაგ ჩრდილოეთის ნავთის და ბიუჯეტის საკითხები. ორთავეზე არა უგვიანეს მოხდება ხელშეკრულების რატიფიკაცია. კითხვაზე თუ როგორ შეხედეს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებას ტაბა-ტაბაიმ უპასუხა: საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება ჩვენ ძალიან გვაინტერესებს, — განსაკუთრებით საკითხი ტრანზიტის შესახებ. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ის განსაკუთრებული უპირატესობანი და შეღავათები, რომელიც თქვენ მიერ ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთის ქვეყნებთან კერძოთ სპარსეთთან სავაჭრო ურთიერთობის საკითხში უფრო და უფრო განამტკიცებს ნამდვილი მეგობრობას და ერთი მეორეს სარგებლიანობას, რომელიც არსებობს ამჟამად აღმოსავლეთისა და საბჭოთა კავშირს შორის. გასულ წელს ტაბა-ტაბაი იყო ნაციონალურ ბლოკის სათავეში, რომელიც წრეულს დაიშალა.

პოლონეთის გაზეთების ჭორები

ვარშავა. 30 აგვისტო. პოლონეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ, თითქოს საბჭოთა კავშირში გამოცხადებულია საყოველთაო მობილიზაცია, რომელიც მიმართულია პოლონეთის და რუმინეთის წინააღმდეგ. პოლონეთის სატელეგრაფო სააგენტო იტყობინება ბუქარესტიდან, რომ თითქოს საბჭოთა კავშირის ფლოტი მანევრებს ახდენს რუმინეთის და ბულგარეთის საზღვრებთან. პოლიტიკურ წრეებში ამ ცნობებს სამართლიანად უწოდებენ გაზეთების ჭორებს. გაზეთი „ეხო“ იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც გამომდინარეობენ პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან, იტყობინება, რომ ეს ხმები არ არის მართალი.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დამტკიცების საკითხი

საუბარი ამხ. რაკოვსკისთან

ლონდონი. 30 აგვისტო. გაზეთებში მოთავსებულია საუბარი ამხ. რაკოვსკისთან ლონდონში მისი დაბრუნების შემდეგ. შეეხო რა ინგლისის პრესის ერთი ნაწილის კამპანიას ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების წინააღმდეგ, ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა: „მე სრულ ანგარიშს უწევ იმ დიდ კამპანიას ხელშეკრულების წინააღმდეგ, მაგრამ მე ეს სრულიადაც არ მაკვირვებს. ეს კამპანია შეიძლება აიხსნას იმ პსიქოლოგიურ სხვადასხვაობით, რომლითაც ჩვენ და ინგლისელები უდგებით ხელშეკრულებას. როგორც სჩანს, ბრიტანეთის საზოგადოებრივ აზრის ერთ ნაწილს ჰგონია, რომ ხელშეკრულების დადება ჩვენ უნდა შეგვეძინა ჩვენი სოციალისტურ კანონმდებლობისა და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა უარყოფის ფასად. ინგლისის საზოგადოების ამ ნაწილისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ ჩვენ ვსცანით ჩვენი ვალდებულებანი. მაგრამ უფრო ღირსშესანიშნავია ამ ცნობის ფორმა მე. ვფიქრობ, რომ ბრიტანეთის საზოგადოების უმრავლესობა შეითვისებს უფრო ჯანსაღ თვალსაზრისს ხელშეკრულებაზე“.

შემდეგ ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა „უზრუნველყოფილი სესხი გულისხმობს კონტრ-გარანტიას ჩვენის მხრივაც. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში აგრეთვე ისიც, რომ სესხის უდიდესი ნაწილი დახარჯული იქნება ინგლისშივე, — აქაურ მრეწველობაში შეკვეთების სახით, ხოლო ის ნაწილი, რომელიც დაიხარჯება საბჭოთა კავშირში, მოხმარდება პროდუქტიულ მიზნებს, შეკითხვაზე: „როგორი იქნება საბჭოთა მთავრობის პოზიცია იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი უარყოფს ხელშეკრულების დადასტურებას“, ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა: „ამ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია ისეთივე იქნება, როგორიც იყო წარსულში. დაველოდით სანამ ახალი პარლამენტი გაიგებდეს იმას, —რის გაგება არ სურდა ეხლანდელს, მაგრამ ვფიქრობ რომ თემთა პალატის უმრავლესობა ხმას მისცემს ხელშეკრულებას, რატიფიკაციის უარყოფა ისეთსავე უარყოფით პოლიტიკურსა და ეკონომიურ შედეგებს გამოიწვევს ინგლისისათვის, როგორც ჩვენთვისაც, რატიფიკაციის უარყოფა ევროპის ახალ კრიზისის დასაწყისი იქნება“.

შემდეგ ამხ. რაკოვსკიმ სთქვა, რომ საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა აუცილებელია. მისი აზრით ცნობა მოხდება ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაციამდე.

ახალი კომანდირები ჩვენს წითელ არმიას

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ჩვენ, ტყვიის მფრქვეველებისა და ზარბაზნების ზუზუნის ქვეშ და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გვიხდებოდა ძველი იმპერიის დაშლილი არმიის საუკეთესო ელემენტებიდან შეგვეკრიბა მომავალი წითელი ჯარის ნაწილები, იმ ჯარის, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა მუშურ-გლეხური სახელმწიფო. სად იყო მაშინ დრო სისტემატიური, დამშვიდებული მუშაობისთვის ამ დარგში! ხელისუფლება ახლათ დაპყრობილი იყო, წინ იშლებოდა უფრო ძნელი გზა დაპყრობილი პოზიციების დასაცავათ და გასაფართოებლათ. შეტევაზე გადასვლა და მოგერება — ასეთი სამხედრო ეპიზოდებით იყო აღვსილი იმ დროის შინაარსი. ასეთ პირობებში გვიხდებოდა ქვა ქვაზე დადუღებით გვეშენებია ჩვენი სამხედრო ძლიერების საქმე.

დრომ განვლო. რევოლიუციონური ხელისუფლება განმტკიცდა შიგნი და გარეთ. ქვეყნის საწარმოო ძალებს გამოცოცხლება დაეტყო და გაფურჩქნის გზაზე შესდგა. ეკონომიური ფრონტი გამაგრდა და ცხოვრების ყველა დარგი ჯერ უნახავი ენერგიით და ძლიერებით ამუშავდა. სამხედრო საქმესაც, ცხადია, დაეტყო ახალი პირობების გავლენა და შემთხვევითი ნერვიული მუშაობის ადგილი, დამახასიათებელი წარსული დროების, დაიჭირა დამშვიდებულმა სისტემატიურმა მუშაობამ ამ სფეროში. წითელი არმია, ახალ ორგანიზაციულ პრინციპებზე აგებული, თანდათან გაძლიერდა და მტრებისათვის თავზარდამცემი შეიქნა. ის იწრთვნება თავის საქმისთვის, ვითარდება კულტურულ-პოლიტიკურად. მისი საკომანდო შემადგენლობა, ისევე როგორც ჯარის, ივსება მუშებისა და გლეხებისაგან. ამნაირათ წითელ ჯარს, მშრომელთა ინტერესებისა და სახელმწიფოს დამცველს, უჩნდება ღირსეული ხელმძღვანელებიც იმავე წრეებიდან, იმავე მშრომელებიდან. კიდევ მეტი ჯარის ხელმძღვანელი ნაწილი, კომანდირთა კადრები, ივსება რაც დრო მიდის მით უფრო, იმ პარტიის წევრებიდან, რომელიც განაგებს დღეს ჩვენი საბჭოთა კავშირის ბედიღბალს.

ამ დღეებშიც შეემატა ჩვენ წითელ არმიას ასეთი კომანდირები.

საქვეითო ჯარის კომანდირთა სკოლამ თბილისში გამოუშვა ახალი წითელი კომანდირები. მათ რიცხვში 45 პროცენტს შეადგენენ კომპარტიის წევრები და კანდიდატები, 11 პროც. კი ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირელები.

სოციალური მდგომარეობით ჯარის მომავალი ხელმძღვანელები ნაწილდებიან შემდეგნაირათ: მუშები — 28 პროცენტი, გლეხები — 56 პროცენტი და მოსამსახურეებიც დანარჩენი 16 პროცენტი.

„სამხედრო ნათლა“ მათმა დიდმა უმრავლესობამ მიიღო სამოქალაქო ომის ცეცხლში. ასე მაგალითად 83 პროცენტი გამოშვებული კომანდირების მონაწილეობას იღებდენ ამ ომში. ამ რიცხვიდან 26 პროცენტი მსახურებდენ წითელ არმიაში 1917—1918 წლიდან; 26 პროცენტი — 1919 წლიდან; 20 პროცენტი—1920 წლიდან და 28 პროცენტიც—1921 წლიდან.

აი ასეთი პარტიული და სოციალური შემადგენლობის, ასეთი სამხედრო სტაჟის მქონე წინამძღოლები იცავენ „მბრძანებელ მაღლობებს“ ჩვენ წითელ ჯარში და თავის თავად ცხადია, რომ ისინი გადასცემენ თავიანთ „ხელ ქვეითებს“ და ამხანაგებს ამ გამოცდილებას და სათანადო სულისკვეთებას.

ამნაირათა და ამ გზით, თანდათანი დაუღალავი მუშაობით იმ პერიოდში, რომელიც იძლევა ნორმალურ პირობებს ამ მუშაობისთვის, ჩვენ ვაშენებთ და ვაძლიერებთ ჩვენ წითელ არმიას.

უნდა დაინახოს ყველამ, მეგობრებმა და მტრებმა, თუ ვისგან შესდგება ეს არმია, ვინ ხელმძღვანელობს მას. უნდა დაინახოს და შეიგნოს ჩვენი რესპუბლიკების მუშისა და გლეხების ყველა ჩამორჩენილმა ნაწილებმა, რომ წითელი ჯარი ეს მათი ჯარია, მათი ინტერესების დამცველი, მათი საქმის, მიზნების, ცხოვრების და მყუდროების ფხიზელი დარაჯი და მით შეურიგებელი მტერი ბურჟუაზ-კაპიტალისტების, ყოფილი მემამულეების და კონტრ-რევოლიუციონერების, როგორიც არიან მენშევიკები და მათი ბანდები.

დღეს, როდესაც საქართველოს მუშებსა და გლეხობას მხარში უდგიან ჩვენი წითელი არმიელები და ეხმარებიან მათ როდესაც ისინი თვითონ მისდევენ ფეხდაფეხ ავანტიურისტ მენშევიკებს და მათ ზურგს უკან მყოფ თავადაზნაურულ, ყაჩაღურ ბანდებს, რომლებსაც სურდათ გამოეწვიათ ალიაქოთი, დაერღვიათ ნორმალური ცხოვრება და ესიზმრებოდათ კიდევაც რევოლიუციონური ხელისუფლების ჩამოგდება, — დღეს ყველასათვის აშკარაა რას წარმოადგენს ჩვენი წითელი არმია როგორც მშრომელებისთვის, ისე მათი წარსისხლე მტრებისთვის, თავადებისთვის, ბანდიტებისა და მენშევიკებისთვის.

ასეთია ჩვენი წითელი ჯარი და მათი კომანდირები.

გაუმარჯოს ახლათ გამოშვებულ კომანდირთა კადრებს.

პანების სამეფოში

საფრანგეთის ხარჯზე

ვარშავა. 1 სექტემბერი. პოლონეთის სატელეგრაფო სააგენტო იტყობინება, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა სარჟინსკიმ მოახერხა პარიზში საფრანგეთის მთავრობის მიერ დროებით თვიურ ბიუჯეტში იმ თანხის შეტანა, რომელიც ეკუთვნის პოლონეთს მისთვის საფრანგეთის მიერ მიცემულ სამხედრო სესხის—400 მილიონ ფრანკის ანგარიში.

გაბსბურგების და პოლონეთის მთავრობის პროცესი.

ვარშავა. 1 სექტემბერი. სასამართლო პროცესი ავსტრიის ყოფილ იმპერატორის კარლ გაბსბურგის მემკვიდრეებსა და პოლონეთის მთავრობას შორის, რომელიც გამოიწვია პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფ გაბსბურგების ქონების კონფისკაციამ, დამთავრდა გაბსბურგის მემკვიდრეობის სასარგებლოდ. პროცესი აღძრა მემკვიდრეების სახელით მათმა მზრუნველმა. გაბსბურგებს უბრუნდება დიდძალი ქონება.

პროფკავშირთა დევნა

ვარშავა. 1 სექტემბერი. ბოლო არ უჩანს პოლიციის თავდასხმას პოლონეთის პროფკავშირთა კრებებზე. პარასკევს პოლიციამ კვლავ დააპატიმრა 150 კაცი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ტყავის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის კრებაზე.

სიძვირე პოლონეთში

ვარშავა. 1 სექტემბერი. სახელმწიფოს სტატისტიკური კომისიის ცნობებით, პოლონეთში სიძვირე ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში გაიზარდა 8 პროცენტით.

რა ხდება ჩინეთში

ბრძოლა გონ-კონგთან.

შანხაი. 2 სექტემბერი. გონ კონგის მახლობლად სწარმოებს ძლიერი ბრძოლა აჯანყებულებსა და მთავრობის ჯარებს შორის. მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

შანხაიში მივიდა ამერიკის კრეისერი. ევროპიელი მისიონერები იტყობინებიან საშინელ „დარბევის და ძარცვის" შესახებ სახელმწიფოს შიგნით.

ძლიერდება სამოქალაქო ომი კანტონის რაიონში.

ჩინეთის ფაშისტების გამოსვლა.

ინგლისის დახმარება.

მოსკოვი, 2 სექტემბერი. გემის მეპატრონე ხან-კონს, რომელიც მეთაურობს სუნ-ია-ტსენის წინააღმდეგ აჯანყებულ ჩინეთის ფაშისტურ შეიარაღებულ ძალებს, აშკარად დახმარებას უწევენ ინგლისის ყველა საზღვაო ძალები კანტონში. მის ქონებას, რომელიც იმყოფება ჩინეთის ტერიტორიაზე, იცავენ ინგლისელი ჯარისკაცები.

ინგლისის ელჩმა კანტონში გაუგზავნა კანტონის მთავრობას ულტიმატუმი, რომელშიც იმუქრება, რომ თუ ჩინეთის ხელისუფლება შეეცდება ჩააქროს აჯანყება ძალით, ინგლისის საზღვაო გემები დაუყონებლივ დაიწყებენ ოპერაციებს ჩინეთის ხელისუფლების წინააღმდეგ.

რევოლუცია სამხრეთ ჩინეთში

ნაუენი. 30 აგვისტო. პეკინიდან მიღებული ცნობით, იან-ტეო-კიანგის პროვინციაში დაიწყო რევოლიუციონერების გამოსვლა. მიმოსვლა რკინის გზაზე შანხაისა და ნანკინს შორის შეწყვეტილია. ამერიკის სამხედრო გემები შევიდნენ შანხაიში ამერიკელების და ევროპიელების სიცოცხლის და ქონების დასაცავად.

წითელი სიტყვები, ყვითელი საქმეები

ამსტერდამის „მემარცხენე" ფრთის კაპიტულიაცია

საუბარი ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო კომიტეტის მდივანთან.

მოსკოვი. 2 სექტ. ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო გაერთიანების მდივანმა, რომელიც დაბრუნდა ტრანსპორტელების ჰამბურგის კონგრესიდან, „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

— ტრანსპორტელების საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა, რომელიც ემხრობა ამსტერდამს, „რევოლიუციონურ" ფრაზების ნიღაბ ქვეშ მიიღო მეტად რეაქციონური გადაწყვეტილებები, რომლებიც მოწმობენ კონგრესის „მემარცხენე" ფრთის სრულ კაპიტულიაციას მემარჯვენე უმრავლესობის წინაშე. საკითხი რუსეთის პროფკავშირების შესახებ არ ყოფილა აღძრული არც ერთ რეზოლიუციაში, გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ტრანსპორტელების ამსტერდამის პროფკავშირების „მემარცხენე" ხელმძღვანელებმაც ფიმენმა, ვილიამსმა და სხვებმაც ხელი შეუწყვეს საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო კავშირების არ დაშვებას ჰამბურგის კონგრესზე.

ოპოზიცია ფაშიზმის წინააღმდეგ

იტალიელ დეპუტატების თათბირი.

მოსკოვი. 2 სექტემბერი. თათბირს, რომელიც გამართეს იტალიის ზოგიერთმა დეპუტატებმა, რომლებიც გაყვანილ იქნენ პარლამენტში ფაშისტ-დისიდენტების სიით, ფაშისტური პრესა ახასიათებს, როგორც შეთქმულებას მუსოლინის მთავრობის წინააღმდეგ. ფაშისტური გაზეთები აღნიშნავენ, რომ თათბირზე მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე რესპუბლიკანელებიც, რომლებმაც თითქოს შეადგინეს მებრძოლი რაზმები მთავრობასთან შეიარაღებული ბრძოლისათვის.

მსხვილი მრეწველები მუსოლინის წინააღმდეგ

მოსკოვი. 2 სექტემბერი. გაზეთ „ჯუსტიცია"-ს ცნობით მილანში შესდგა მსხვილი მრეწველობის თათბირი იტალიის პოლიტიკური მდგომარეობის განსახილველად. წინადადება ფაშისტურ მთავრობასთან თანამშრომლობის შესახებ გადაჭრით უარჰყო თათბირმა.

კოოპერატორ ქალების საერთაშორისო კონგრესი

მოსკოვი. 2 სექტემბერი. გენტში გაიხსნა კოოპერატორ ქალების საერთაშორისო კონგრესი. მონაწილეობას იღებენ 18 სახელმწიფოს წარმომადგენლები. პირველ სხდომაზე მიღებულია წესდება და არჩეულია კოოპერატორ ქალების საერთაშორისო ბიურო. თუმცაღა საბჭოთა კავშირის დელეგატ ქალებმა განაცხადეს, რომ ღებულობენ წესდებას, მაგრამ ბიურომ არ მისცა მათ გადამწყვეტი ხმის უფლება.

მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის და უკრაინის კომუნისტმა დელეგატებმა.

გერმანიის დელეგატმა ქალმა აღნიშნა გერმანიის მუშა ქალის მძიმე მდგომარეობა. ჩეხო-სლოვაკიის დელეგატმა ქალმა მიუთითა მთელი მუშათა მოძრაობის გაერთიანების აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ კოოპერატიული მოძრაობა წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს მუშათა მოძრაობისას. უკრაინის დელეგატმა ამხ. ლევკოვიჩმა მიუთითა იმ გადამწყვეტ როლზე, რომელსაც ითამაშებს კოოპერატიული მოძრაობა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ და გაილაშქრა ქალთა ავტონომიურ კოოპერატიულ ორგანიზაციების წინააღმდეგ.

მიუხედავად ბიუროს მტრული განწყობილებისა, კომუნისტ-დელეგატ ქალების გამოსვლას აღტაცებით შეხვდნენ.

ინგლისელი დელეგატი ქალი, რომელიც გამოდის მოხსენებებით მშვიდობიანობის დაცვის და მილიტარიზმის საწინააღმდეგო ბრძოლის საკითხების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ომები წარმოადგენენ კაპიტალისტური მეტოქეობის შედეგებს და იმედს გამოსთქვამს, რომ კოოპერაცია დაამარცხებს კაპიტალიზმს და მოსპობს ომების შესაძლებლობას. საფრანგეთის დელეგატმა ქალმა აუცილებლად სცნო მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მასების კოოპერაციაში ჩაბმის გზით. გერმანიის დელეგატმა ქალმა აღნიშნა, რომ კოოპერაციამ ვერ შესძლო ხელის შეშლა 1914 წლის ომისათვის და აგრეთვე რურის ოკუპაციისათვის 1923 წელს.

კაპიტალიზმის დასამარცხებლად მარტო კოოპერაცია არ კმარა. მხოლოდ მუშათა კლასის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ნაწილსაც შეადგენს მუშათა კოოპერაცია, შესძლებს ამ ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებას. საჭიროა მთელი ძალ-ღონით გავაღვივოთ მუშების კლასობრივი შეგნება, ვიბრძოლოთ მამაკაცებთან ერთად პროლეტარიატის განთავისუფლებლად.

ასეთივე აზრი განავითარა საბჭოთა რუსეთის დელეგატმა ქალმა ამხ. ოსტროვსკაიამ, რომელსაც მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ კონფერენციაზე. ოსტროვსკაიამ აღნიშნა, რომ კოოპერატიულმა მოძრაობამ თავი უნდა დააღწიოს აპოლიტიურობას. სხვა მუშათა მოძრაობასთან ერთად ის მიზნად უნდა ისახავდეს კაპიტალიზმის დამხობას.

ინგლისის და ჰოლანდიის დელეგატ ქალების წინადადებით, კონფერენცია ესალმება დანიის მთავრობის გადაწყვეტილებას განიარაღების შესახებ. ამხ. ოსტროვსკაიას შეაქვს შეკითხვა—რატომ კონფერენცია არ მიესალმება აგრეთვე საბჭოთა მთავრობას, რომელიც ყოველივე ძალ-ღონით იბრძვის მშვიდობიანობისთვის. კონფერენციის თავმჯდომარე ავსტრიელი სოციალ-დემოკრატი ქალი ფრეინდლიხ ილაშქრებს საბჭოთა მთავრობისადმი მისალმების წინააღმდეგ, „ვინაიდან უკანასკნელი ინახავს არმიას".

გლეხ ქალებს შორის კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამხ. ოსტროვსკაიამ, რომელმაც, დროის სიმცირის გამო, შესძლო მხოლოდ საერთოდ დაეხასიათებინა მუშაობა, რომელიც გასწია საბჭოთა კოოპერაციამ სოფელში. კონფერენციის თავმჯდომარემ სიტყვის დრო არ გაუგრძელა ამხ. ოსტროვსკაიას მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთის დანარჩენმა ორ დელეგატმა ქალმა დაუთმო მას სიტყვა. მთელი საბჭოთა დელეგაციის სახელით ამხ. ოსტროვსკაიამ ენერგიული პროტესტი განაცხადა თავმჯდომარის საქციელის წინააღმდეგ.

კონფერენციამ დახურვის წინ მადლობა გამოუცხადა პრეზიდიუმის სახელით გენტის კოოპერატივებს.

II ინტერნაციონალი და ლონდონის შეთანხმება

„პრავდა"-ს წერილი.

მოსკოვი. 2 სექტემბერი. ამხ. რადეკი „პრავდას" მოწინავე წერილში „მეორე ინტერნაციონალი და ლონდონის შეთანხმება" სწერს:

„ლონდონის შეთანხმების მამები, რომელნიც გერმანელ მუშებს ადგამენ მონობის უღელს, არიან მეორე ინტერნაციონალის ბელადები მეორე ინტერნაციონალმა ლონდონის შეთანხმებისათვის ბრძოლაზე დაამთავრა თავისი ომის შემდეგი დროის ევოლიუცია. რაკი მეორე ინტერნაციონალი გამოდის იმ დებულებიდან, რომ პროლეტარიატის გამარჯვება შეუძლებელია, რომ მხოლოდ ბურჟუაზიას შეუძლია ევროპის აღდგენა, ამიტომ საჭიროა დახმარება გაუწიოს ბურჟუაზიის ამ აღდგენის საქმეში.

მეორე ინტერნაციონალმა ლონდონის შეთანხმებით დაამთავრა თავისი ევოლიუცია დემოკრატიიდან ფინანსიურ კაპიტალის დიქტატურის დამყარებამდე. მეორე ინტერნაციონალი იცავს თავის პოლიტიკას და ამტკიცებს, რომ ფინანსიურ კაპიტალის გამარჯვება ნიშნავს მშვიდობიანობის დამყარებას.

ამას ამბობენ ისინი, ვინაც იციან ბანკების, ფინანსიურ კაპიტალის და მძიმე მრეწველობის ყოველგვარი ოინები, [illegible], რომელთაც არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ფინანსიურ კაპიტალის ბატონობამ უნდა გამოიწვიოს მთელი რიგი ახალი ომებისა.

იმ მომენტში, როდესაც კაპიტალის სხვა და სხვა ჯგუფებს შორის ბრძოლა გამწვავდა, საერთაშორისო ფინანსიურ კაპიტალს შეუძლია დაემყაროს იმას, რომ მეორე ინტერნაციონალი არ ასწავლიდა მასებს დაენახათ ბანკირებში მშვიდობიანობის მოციქულები.

ბანკირების პაციფიზმი დამყარებულია მუშათა კლასის სულ დამონავების პოლიტიკაზე. გერმანიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების კაპიტალისტები მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღის და მუშების სხვა მონაპოვართა გაუქმებას. გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის მუშათა კლასის უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ ამჩნევს მოახლოვებულ საფრთხეს. მეორე ინტერნაციონალი იძენს დღევანდელ მომენტში ერთგვარ კაპიტალს მუშათა მასების დაკაბალების, და იმ ილიუზიების წყალობით, რომ ბირჟები [illegible] მისცემენ მათ.

ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ევროპაში იზრდება მუშათა მოძრაობის ახალი ტალღა. ამ ბრძოლაში მომწიფდება პროლეტარული რევოლიუცია, რომელიც ბოლოს მოუღებს მეორე ინტერნაციონალს".

სადელეგატო კრებების ხელახალი არჩევნებისათვის

თეზისები

1. სადელეგატო კრებების ხელახალი არჩევნები წელს ხდება სწორედ იმ დროს, როდესაც სრულდება სისხლის მღვრელი იმპერიალისტური ომის ათი წლის თავი. იგი ხდება იმ მომენტში, როდესაც მსოფლიო ბურჟუაზია განსაკუთრებული ენერგიით ემზადება ახალი, კიდევ უფრო საშინელი ომისათვის. ეს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს და პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირის მშრომელებს აკისრებს მუშურ-გლეხური ქვეყნის, მშვიდობიანობის ამ ერთად-ერთ გარანტიის ყოველმხრივი გაძლიერების და განმტკიცების ამოცანას. საბჭოთა ხელისუფლების და წითელი არმიის განმტკიცებით, ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა მასები არა მარტო იცავენ თავისი რევოლიუციის მონაპოვარს—მშრომელთა ძალა-უფლებას და მიწას გლეხების ხელში, ფაბრიკა-ქარხნებს მუშების ხელში,—ისინი იცავენ აგრეთვე საერთაშორისო მშვიდობიანობის საქმეს. ვინაიდან შიში საერთაშორისო რევოლიუციის წინაშე, რომლის შეურყეველ ციხესიმაგრეს წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკა, არის ძალა, რომელიც აკავებს ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ იმპერიალისტებს ახალი ხოცვა-ჟლეტისაგან.

2. მაშინ როდესაც ბურჟუაზიულ ევროპაში სწარმოებს მსოფლიო მეურნეობის გაუჩერებელი დაშლა, რომელსაც თან ახლავს უმუშევრობის ზრდა, გაჭირვება და გაღარიბება მუშათა მასებში და ამით გამწვავებული კლასთა ბრძოლის გამწვავება, (ფაშიზმის ზრდა ერთის მხრივ და კომუნისტური პარტიების განმტკიცება მეორეს მხრივ), ამავე დროს ჩვენ ვამჩნევთ საბჭოთა კავშირის მეურნეობის ნელ, მაგრამ შეუჩერებელ აღორძინებას, მშრომელთა კეთილდღეობის და მათი პოლიტიკურ და კულტურულ დონის ზრდას. ყველაფერი ის აყენებს პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე ამოცანებს მიიზიდონ მუშათა მასები პარტიის, საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციის უფრო აქტიურ მუშაობაში. უკანასკნელების და აგრეთვე მშრომელთა ფართო მასების მხრივ აქტიური დახმარება უნდა გამოიხატოს გვალვისაგან დაზარალებულ რაიონებისათვის დახმარების გაწევაში, რათა არ დაეცეს მოუსავლიან ადგილების სასოფლო-მეურნეობა და არ გაღატაკდეს 7 მილიონი მშრომელი მოსახლეობა.

3. ამ ამოცანას წელს, როდესაც ჩვენ შორის აღარ არის ამხ. ლენინი, ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ლენინის აღთქმა უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ყველა მშრომელებს. მხოლოდ მჭიდრო კავშირებით, ერთსულოვანი მუშაობით და გაათკეცებულ კოლექტიური ენერგიით შეიძლება შევავსოთ უდიდესი დანაკლისი ლოზუნგით: „ლენინი მოკვდა. მაგრამ ცოცხალია ლენინიზმი, ცოცხალია კომუნისტური პარტია", ჩვენ ჩავატარებთ სადელეგატო კრებების ხელახალ არჩევნებს.

4. პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც ლენინის სიტყვით, „არის ახალი კლასის ყველაზე თავდადებული, ყველაზე დაუზოგავი ომი უფრო ძლიერ მტრის ბურჟუაზიის წინააღმდეგ", შეიძლება შერჩენილ იქნას მხოლოდ უსასტიკესი რკინის დისციპლინის პირობებში მისი ავანგარდის—ჩვენი პარტიის რიგებში იმ პირობით, თუ ეს ავანგარდი სარგებლობს მუშათა კლასის მთელი მასის დახმარებით, თუ მას აქვს უნარი გაუძღვეს დანარჩენ ფენებს. ძველ მსოფლიოს წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლებში უდიდეს როლს თამაშობს სოციალისტურ რევოლიუციაში ქალთა ფართო მასების მონაწილეობა. აი ამიტომ ლენინს არა ერთხელ უთქვამს, რომ სოციალიზმის აშენება შეგვიძლია მხოლოდ „ქალთან ერთად, რომ საბჭოთა ხელისუფლების საქმე გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მასში მონაწილეობას მიიღებენ ქალთა მილიონები. ლენინის ეს სიტყვები უნდა გახდეს აღთქმად მთელი ქვეყნისათვის, თვითეული მშრომელი ქალისათვის.

5. ჯერ კიდევ ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეშვიდე წლის თავზე, ახალი ცხოვრების აქტიურ აღმშენებლობაში ჩაბმულ მშრომელ ქალთა პროცენტი ძალიან უმნიშვნელოა. ამიტომ იყო, რომ მეცამეტე პარტიულმა ყრილობამ აუცილებლად სცნო, რაც შეიძლება მეტი მუშა და გლეხ-ქალების ჩაბმა საბჭოთა და პარტიულ აღმშენებლობაში, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეხლა, როდესაც მუშაობის ცენტრში დასმულია მრეწველობის სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო ვაჭრობის საკითხები, რომლებიც ხელს უწყობენ კავშირის განმტკიცებას ქალაქსა და სოფელს შორის.

6. ამ მიზნების განსახორციელებლად პარტიამ, ქალთა განყოფილებების სახით, შექმნა სპეციალური აპარატი—სადელეგატო კრებები. სადელეგატო კრებები წარმოადგენენ არა მარტო შემაკავშირებელ ძაფს პარტიასა და მასებს შორის, როგორც ამბობდა ამხ. სტალინი, არამედ ისინი წამოადგენენ აგრეთვე საუკეთესო სკოლას კომუნიზმისა ათეულ ათას მუშა და გლეხ ქალებისათვის.

7. სადელეგატო კრებების საშუალებით მუშა ქალი და აგრეთვე გლეხი ქალიც ებმება ახალი ცხოვრების აქტიურ აღმშენებლობაში. სადელეგატო კრებების ზრდა ასეთია: 60,000 დელეგატი ქალი 1922 წელს, ამ ჟამად კი 147,000 დელეგატი ქალი. ეს ზრდა ხდება არა მარტო ქალაქში, არამედ აგრეთვე სოფელშიაც. მაგალითად, გლეხ დელეგატ ქალების საერთო რაოდენობა უდრის 1923 წ. აპრილში 58,000-ს 1924 წლის იანვარში გაიზარდა 100,000-დე. სადელეგატო კრებების საშუალებით მუშა და გლეხი ქალები ებმებიან საბჭოებშიც.

8. სადელეგატო კრებები არის გარდამავალი საფეხური რუსეთის კომპარტიისაკენ, ყოველი წლობით იზრდება იმ დელეგატ ქალების რიცხვი, რომლებიც თავიანთი სადელეგატო სტაჟის შესრულების შემდეგ შედიან რუსეთის კომპარტიის რიგებში. პარტიაში ახალი წევრების მიღების დროს პარტიის რიგებში შევიდა თითქმის 50 პროცენტი ყველა დელეგატებისა. ჩვენი ამოცანა ეხლა მდგომარეობს იმაში, რომ არ დარჩეს არც ერთი დელეგატი ქალი რუსეთის კომპარტიის რიგებს გარეშე.

10 სადელეგატო კრებების საშუალებით მუშა და გლეხი ქალები ეზიარებიან არა მარტო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას; სადელეგატო კრებებმა უნდა შეასწავლოს მუშა ქალებს ახალი ყოფა-ცხოვრების დამწყებად და გამტარებლად გახდომა. ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა შეუძლებელია ზევიდან არა მარტო სახელმწიფოს მატერიალური სიღარიბის გამო.

მისი შეცვლა შეიძლება მხოლოდ თვით მუშების და მუშა ქალების თვითმოქმედებით და თვით შეკავშირებით აღორძინების გზაზე დამდგარ სახალხო მეურნეობის ნიადაგზე. დელეგატი ქალი აქაც უნდა იყვეს მუშა და გლეხ ქალების ხელმძღვანელი.

10. დელეგატი მუშა ქალი უნდა იყოს ამავე დროს ლენინის მთავარი აღთქმის ცხოვრებაში გამტარებელი, უნდა განამტკიცოს კავშირი ქალაქისა და სოფელს შორის. დელეგატი მუშა ქალი უნდა იყოს მეგობარი და დამხმარე თავისი უფრო ჩამორჩენილი დის გლეხი ქალის.

სოფელზე ქალაქის კულტშეფობის გატარების დროს საპატიო ადგილი უნდა ჰქონდეს დელეგატ მუშა ქალს.

11. სადელეგატო კრებების ხელახალი არჩევნები მოითხოვს მთელი პარტიის, პროფესიონალურ კავშირების, კოოპერატიულ და საბჭოთა ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდან სადელეგატო კრებების საშუალებით ჩამორჩენილი დედაკაცები გადაიქცევიან შეგნებულ მოქალაქეებათ—საბჭოთა რესპუბლიკის აღმშენებლებათ.

რ. კ. პ. ცკას მუშა ქალთა განყოფილება.

ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია

პირველი დღე

2 სექტემბრის სხდომა

ა.-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის პირველ სხდომას ხსნის ამხ. **მიხ. ცხაკაია**, რომელიც ვიდრე საერთო მდგომარეობის მიმოხილვას შეუდგებოდეს წინადადებას იძლევა ფეხზე ადგომით პატივი სცენ საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნას.

ამხ. ცხაკაიას სიტყვა

პირველი სესიიდან დღემდე საბჭოთა კავშირის საერთოდ და კერძოთ ა.-კ. ფედერაციის მდგომარეობა, როგორც საშინაო, ისე საგარეო ფრონტზე საგრძნობლად—გაუმჯობესდა. ამხ. ლენინის გარდაცვალებამ ახალი მუშური ძალებით შეავსო ერთად-ერთი მებრძოლი—კომუნისტური პარტიის რიგები.

ფულის რეფორმის წარმატებით ჩატარებამ საბოლოოდ განამტკიცა ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ფრონტი.

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებამ საბჭოთა კავშირს მოუპოვა ისეთი გამარჯვება, რომ ჩვენს მტერთა ბანაკში გამოიწვია სრული არევ-დარევა და უფრო მეტი გაბოროტება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ვიდრე იყო სამოქალაქო ომების დროს.

რაც შეეხება საბჭოთა აღმშენებლობას ა.-კ. ფარგლებში, იგი უფრო გაღრმავდა, მოხდა მისი გეგმაშეწონილი გაერთიანება და ცენტრალიზაცია ისე, რომ სავსებით დაცულია ყოველი რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული განვითარების ინტერესები.

ეხება რა საქართველოში მომხდარ ამბებს, ამხ. მიხა ცხაკაია ახასიათებს მათ, როგორც საბჭოთა რესპუბლიკის სასოწარკვეთილი მტრების უსუსურ და უმწეო გამოსვლებს, რომელსაც არ შესწევს არავითარი ძალა რაიმე ზიანი მოუტანოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას. დასასრულს ამხ. მიხა ცხაკაია უსურვებს ცაკის სესიას ნაყოფიერს მუშაობას.

სესიის დღის წესრიგში შეაქვს გათვალისწინებულ მოხსენებათა გარდა. 1) მოხსენება გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დებულების შესახებ და 2) ხელისუფლების ორგანოებში ქალთა განსაზღვრული მინიმუმის არჩევის შესახებ.

სიტყვა საინფორმაციო მოხსენებისათვის ეძლევა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. **ლევ. ღოღობერიძეს.**

ამხ. ლ. ღოღობერიძის საინფორმაციო მოხსენება

ამხანაგებო, ორი თვის წინათ საგანგებო კომისიის ორგანოებმა მიიღეს ცნობები, რომ ქართველი მენშევიკები, რომლებსაც მუშათა მასებმა ყოველგვარი იმედი გაუცრუა, რომლებმაც დაჰკარგეს მუშებისა და საერთოდ მშრომელი მასების ყოველგვარი ნდობა და პატივისცემა, აინც სცდილობენ მოაწყონ შეიარაღებული გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სურთ შეიარაღებული გამოსვლით დაამხონ პროლეტარიატის დიქტატურა და საქართველოში დაამყარონ ე. წ. „დემოკრატიული" მთავრობა, ძველი, საქართველოს მშრომელი მასების მიერ სამნახევარი წლის წინათ განდევნილი მთავრობის მსგავსი.

მიუხედავათ ამ ცნობებისა, ჩვენ მაინც ვფიქრობდით, რომ ამ ხულიგანობას და უგნურებას ადგილი არ ექნება, მაგრამ, როგორც თქვენ ხედავთ ნ. ჟორდანიას გმირების არამზადობამ და უპასუხისმგებლობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

28 აგვისტოს, განთიადისას, დილის 3 ნახევარ საათზე, 30 კაცისაგან შემდგარი ბანდა თავს დაესხა ქალაქ ჭიათურას, დააპატიმრა რამდენიმე ამხანაგი, ჭიათურის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, აღმასკომის რამდენიმე წევრი და ქალაქი ხელთ ჩაიგდო. მეორე დღეს, 29 აგვისტოს ეს ბანდა განდევნილი იქნა ჭიათურიდან არა რეგულიარული ჯარების მიერ, არამედ კომუნისტების მიერ, 40 კაცის რაოდენობით, რომლებიც გაგზავნილი იქნენ შორაპანიდან ჭიათურელ ამხანაგების დასახმარებლად.

გარდა ამისა, გამოსვლები იყო სენაკის მაზრაში. აქაც პატარა ბანდა განთიადისას თავს დაესხა პარტიულ კომიტეტს და მილიციას, განაიარაღა ისინი და ქალაქი ხელთ ჩაიგდო.

ცალკე ბანდიტური გამოსვლები იყო გარე-კახეთში, სართიჭალის რაიონში და აგრეთვე ზუგდიდის მაზრაში და გურიის მთიან რაიონში.

ამხანაგებო, მეტად საინტერესოა ვიცოდეთ თუ ვინ იღებდა მონაწილეობას ამ გამოსვლებში, ვინ ხელმძღვანელობდა მას და შეიძლება თუ არა ამ გამოსვლებს აჯანყება ვუწოდოთ.

ჭიათურის რაიონში, ადგილობრივი ამხანაგების ცნობით, გამოსვლებში მონაწილეობა მიიღო თითქმის მთელმა ადგილობრივმა თავად-აზნაურობამ, მემამულეებმა. მე უნდა ვსთქვა, რომ ამ რაიონში განსაკუთრებით დიდია თავად-აზნაურების რიცხვი, იქ ცხოვრობს მთელი რიგი ისეთი გვარები, როგორიცაა წერეთელი, აბაშიძე და სხვები, რომლებიც თითქმის ყველანი იღებდნენ მონაწილეობას გამოსვლებში. შემდეგ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდნენ ვაჭრები, მიკიტნები და სპეკულიანტები.

ჭიათურის დაკავების შემდეგ, ბანდიტებმა მოაწყვეს „დროებითი მთავრობა", გამოაცხადეს საალყო წესები და გამოუშვეს მოწოდება მცხოვრებლებისადმი. ამ უნიჭოთ შედგენილ მოწოდებაში ამცნეს მცხოვრებლებს: „თბილისი აღებულია. ულმერთო ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყდა მთელი საქართველო, მთელი ამიერ-კავკასია, მთელი კავკასია, მათ შემდეგ კი აღსდგება მთელი რუსეთი". რამდენ სიმართლეს შეიცავს ეს სულელური მენშევიკური სიყალბე, განსაჯეთ თვითონ.

გლეხები ერთსულოვნად მენშევიკურ-თავადურ „აჯანყების" წინააღმდეგი იყვნენ.

სენაკის მაზრაში, „ახალი ხელისუფალნი", რომლებიც ქართველი ხალხის სახელით გამოდიოდნენ, იძულებული იყვნენ დაეწყოთ ღარიბ-ღატაკთა მასიური დაპატიმრება, რადგან სამართლიანად ეშინოდათ მათი შეკავშირებული გამოსვლის ბანდიტების წინააღმდეგ.

გარე-კახეთში ადგილი ჰქონდა ასეთ ფაქტს.

სოფ. გომბორს, სადაც საერთოდ მთელი „შეიარაღებული ძალა 2 მილიციონერისაგან შესდგა, თავს დაესხა 12 ბანდიტი, წაართვა მილიციონერებს იარაღი და შეიქნა „მთავრობა" ნახევრათ ქურდ-ბაცაცა ყოფილ სახალხო გვარდიელებისაგან.

შემდეგ ამ 12 ბანდიტს მიემხრო დაახლოებით 20—30 გლეხი და ამდენივე ხევსური. მეორე დღეს შეიარაღებული გამოსვლის მთელი ეს კომედია ჩაქრობილ იქნა ადგილობრივი ძალებით და წარმოიდგინეთ ეს 20—30 გლეხი და ხევსური თვითონვე წარუდგენ ჩვენ ხელისუფლებას, გადააბარეს იარაღი და თან სთხოვეს არ დაესაჯათ, რადგან ამ ბრიყვულ ავანტიურაში მოტყუებით შევიქენით ჩათრეულიო.

აღმოსავლეთი საქართველოც ამ ჟამად სავსებით დაწყნარებულია, არავითარი გამოსვლა იქ არ ყოფილა და არც იქნება.

იგივე ითქმის თბილისზე, სადაც ჩვენ მიერ მიღებული უტყუარი ცნობების თანახმად ველოდით გამოსვლებს, რომელიც აქ განსაკუთრებული გულმოდგინებით მზადდებოდა.

მენშევიკების დროს სახალხო გვარდიის ყოფილ ხელმძღვანელის ვალიკო ჯუღელის წერილებში ნათქვამია, რომ „აჯანყებას უნდა მიეცეს „საყოველთაო სახალხო ხასიათი" ამ „აჯანყებაში" ჩათრეული უნდა იქნენ გლეხები და მუშები და მხოლოდ ამ შემთხვევაში და აგრეთვე მაშინ, თუ დაპყრობილი იქნება საქართველოს ერთი მსხვილი ქალაქთაგანი—თბილისი, ქუთაისი ან ბათომი, აჯანყებას ექნება აზრიო.

ამ მხრივ მენშევიკების სისხლიანი იდეა დამარცხდა. იბადება კითხვა. რა აზრი აქვს მენშევიკების შეიარაღებულ გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ? მე ეჭვიც კი არ მეპარება, რომ მენშევიკებმა შვენივრად იცოდნენ, რომ ვერ შესძლებდნენ ხელისუფლების დაპყრობას, ეს მათ კარგად ესმოდათ. სასაცილოა ვიფიქროთ, თითქოს მენშევიკთა შორის მოიპოვებოდეს ისეთი რეგვენი, რომელსაც ქონოდა აზრად, რომ ჩვენ ბოლშევიკები „გადავსცემდით" მათ ხელისუფლებას—ამიტომ ეჭვს გარეშეა, რომ გამოსვლის მიზანი იყო, დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობათა გულისმოსაგებად, მოეწყოთ საქართველოში „სკანდალი" და ამით ყველა ქვეყნების ბურჟუაზიისათვის მიეცათ საშუალება ერთხელ კიდევ ეკბინათ პროლეტარული საბჭოთა კავშირისათვის. ეს გამოსვლა ქართველ მენშევიკებს ნაკარნახები აქვთ დასავლეთი ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობების და განსაკუთრებით საფრანგეთის მთავრობისაგან. ჩვენ გვაქვს უეჭველი ცნობები იმის შესახებ, რომ ფრანგმა სოციალისტებმა ყვითელი ინტერნაციონალიდან აშკარად წინადადება მისცეს მენშევიკურ ცეკას და აგრეთვე წერეთელს, რომ მოეწყოთ ქართველი ხალხის „სახალხო აჯანყების" დემონსტრაცია „უზურპატორი" ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ამხანაგებო, გლეხების დამოკიდებულება აჯანყებულთა მიმართ იყო უეჭველად უარყოფითი და გლეხები ამ გამოსვლებში არა თუ არა ყოფილან ჩათრეულნი, არამედ იარაღით ხელში გამოდიოდნენ მენშევიკური ბანდიტების წინააღმდეგ. რაც შეეხება მუშებს, ისინი მთელი ამ დღეების განმავლობაში, როგორც ერთი კაცი—გამზადებული იყვნენ მენშევიკურ-თავადურ არამზადების წინააღმდეგ.

ის გარემოება, რომ ბანდიტებმა ვერ შესძლეს გურიის მთიან ადგილებიდან ჩამოსვლა, აიხსნება მით, რომ ბათომის მუშები დროზედ მოეშველენ გურულ ამხანაგებს.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ მენშევიკურ პარტიას არაფერი საერთო არა აქვს მშრომელ მუშურ-გლეხურ მასებთან ერთხელ კიდევ გვაძლევს უფლებას ვსთქვათ, რომ მენშევიკური პარტია, როგორც მუშათა და გლეხთა მასებში მომუშავე და როგორც იდეური პარტია, რომელსაც ქონდეს ცოტაოდენი კავშირი და ნდობა მაინც მუშათა მასებში, სრულებით აღარ არსებობს და რომ ეხლა ეს პარტია გადაიქცა თავად-აზნაურების და მღვდლების ვიწრო შოვინისტურ ბრბოთ, რომლებიც მზად არის ყოველგვარ ავანტიურაზე და რომელიც სრულებით უნდა მოვსპოთ (ტაში).

ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან ერთ მაგალითს: ვინ ხელმძღვანელობდა გამოსვლებს? ეგრედწოდებული პარიტეტული კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეთ იყო თავადი ანდრონიკაშვილი და რომლის შემადგენლობაშიც შედიან ნაციონალ-დემოკრატები, მემარჯვენე ფედერალისტები და მენშევიკები.

ბათომის შტაბში, რომელმაც თავის მუშაობის დაწყებამდე, წინასწარ ჩეკაში მოხვდა, შედიოდა ერთი გენერალი, ერთი ლეიტენანტი ორივე თავადი და ერთიც ყოფილი თავადი ჩიქოვანი; ჭიათურაში გამოსვლებს ხელმძღვანელობდენ ხუთი ყოფილი თავადი წერეთლები და მეფის მთავრობის ყოფილი პოლკოვნიკი ვინმე ჩაჩანიძე, „აჯანყებულებმა" შეადგინეს „მთავრობა", და მის სათავეში დააყენეს ერთი ზემოთ ჩამოთვლილთაგანი, ყოფილი თავადი ტ. წერეთელი.

გარეკახეთში გამოსვლას ხელმძღვანელობდა ოფიცერი ცაგურია, მგონი პოლკოვნიკი, ქართველი მონარქისტი. როგორც ხედავთ ამხანაგებო, ის ისეთი თაიგულია, რომელიც შეეფერის მენშევიკურ პარტიას და მის ბელადებს: ჟორდანიას, წერეთელს, [illegible] და ჯუღელს.

რომ ამ გამოსვლებში მენშევიკებს ჰყოლოდათ მუშების და გლეხების ცოტაოდენი ნაწილი მაინც მთელ საქართველოში, ეს იქნებოდა მეტად სამწუხარო. მაგრამ გარემოება, რომ მენშევიკები ამ გამოსვლებში ემყარებოდენ თავადაზნაურულ არამზადებს და ყოფილ სახალხო გვარდიელებს, რომლებმაც იმსხვერპლეს არა ერთი ათეული მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე, და არა ერთი ათეული გადამწვარი სოფელი ოსეთისა და დუშეთისა მენშევიკების ბატონობის დროს, გვაძლევს ჩვენ უფლებას ვსთქვათ, რომ დროა დავასრულოთ ფიზიკური განადგურება ამ უპასუხისმგებლო ჯგუფისა.

საქართველოში ჩვენ მათ დღემდე ვებრძოდით მხოლოდ პოლიტიკურათ და ჩვენი ბრძოლა [illegible] იყო მიმართული, რომ ჩამოგვეცილებია მათთვის ასე თუ ისე ლოიალური ელემენტი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლას ამჯობინებს მშვიდობიან შრომას.

ამხანაგებო, ჩვენ მივიღეთ სასტიკი ზომები ამ გამოსვლების ლიკვიდაციისათვის. სხვაგვარად არც იყო შესაძლებელი. ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ, რომ ავანტიურისტებმა, პარიზიდან გამოგზავნილი ჩხიკვიშვილის, კალიკო ჯუღელის და სხვ. სახით, მოაწყონ ორგანიზაცი [illegible] გამოსვლები [illegible] ლების წინააღმდეგ. [illegible] ელის მსგავსი [illegible] ადგენ, რომ [illegible] აწყობდენ შე [illegible] ამიტომ, რ [illegible] ქონდათ წარ [illegible] მი არსებული [illegible] ანაგებო, რო [illegible] ასეთ არასაიმედო [illegible] ებს, რომელთაც არ [illegible] ქონდათ არავითარი [illegible] როგორ და რა [illegible] ოში, მაგრამ მა [illegible] მუშებს და გლეხებ [illegible] წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენ არ შეგვიძლია უფლ [illegible] ვეთ ჩვენს თავს, რომ ასეთ [illegible] ავანტიურისტებმა შესძლონ [illegible] ში განიმეორონ ერთი მეტ [illegible] ნაწილიც იმისა, რაც მოხ [illegible] ჩვენ არ შეგვიძლია უფლ [illegible] ჩვენს თავს იარაღით ხელ [illegible] საქართველოს მშრომელ [illegible] ის და მათი სისხლ [illegible] ანგარიშზე. ამიტომ ჩვენ [illegible] სასტიკი ზომები საქართ [illegible] რაღებული აჯანყების [illegible] ამნაზავეების წინაა [illegible] მტკიცეთ შეგვიძლია [illegible] საქართველოში დღეი [illegible] მენშევიკი, არც ერთი [illegible] დემოკრატი და სხვ. ვერ [illegible] იფიქროს შეიარაღებული გ [illegible] ბის შესაძლებლობის შესახებ [illegible] მუშურ-გლეხურ ხელისუფლების [illegible] მდეგ.

ჩვენ გამოვაშკარავებთ მ [illegible] ფლიოს წინაშე, რომ მ [illegible] ხელისუფლება, ე. ი. ბოლ [illegible] ხელისუფლება რკინის [illegible] ძლებს, [illegible] პოლიტიკის ს [illegible] პროფკავშ [illegible] ზიან ჩვენ [illegible] აჯანყებებ [illegible] გამტკიცებ [illegible] ექნება, თვ [illegible] ძველ [illegible] რიკის მსგავსსა [illegible] ლევს თავის თავს [illegible] თველოს მუშებს და [illegible] რაღებულ აჯანყებისა [illegible]

ამხანაგებო, თავად [illegible] სავაჭრო-სამრეწველო [illegible] ვერ შერიგებია იმას, [illegible] ფაბრიკები, ქარხნები [illegible] სცნობს მას მშრომელ [illegible] თანასწორ უფლებიან [illegible] ცხადია ამიტომაც [illegible] წრაფოდენ და მისწრაფ [illegible] შესაძლებელ საშუალებებ [illegible] უშალონ ჩვენს მუშაობას. [illegible] ამხანაგებო, რომ საქ [illegible] 6 პროც. თავად-აზნაუ [illegible] არა ჩვეულებრივი პრო [illegible] მელიც არც ერთ ქვეყან [illegible] თუგინდ პოლონეთის [illegible] მეფოშიაც, სადაც თა [illegible] ბის პროცენტი 4 პროც [illegible]

ჩვენ უნდა შევამცირო [illegible] ლოში თავად-აზნაურობის [illegible]

ამხანაგებო, მენშევიკუ [illegible] აზნაურულ, კლერიკალუ [illegible] თავის მოწოდებებში და [illegible] ციებში სწერს, რომ „და [illegible] შევიკებს და ჩვენს [illegible] გადაწყდეს იარაღით [illegible] იარაღით; რა გეეწყობა, [illegible] მოწვევას მივიღებთ და [illegible] ცებთ, რომ ჩვენი საბჭოთა [illegible] ვიკური იარაღი არ ბლაგ [illegible] არ ტყდება, როდესაც საქ [illegible] დავატყდებით ჩვენს მტრებს [illegible] მელ ხალხის მოღალატეებ [illegible]

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის ანგარიში

(მომხსენებელი ცაკის თავმჯდომარე ამხ. ამბარცუმიან [illegible]

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის მუშაობა სწარმოებდა სამი მიმართულებით: 1) ორგანიზაციული საკითხების, 2) ეკონომიური საკითხების მოსაგვარებლად და 3) მუდმივი და დროებითი კომისიების მუშაობის წასამართავად.

ორგანიზაციული მუშაობა.

ორგანიზაციული მუშაობა შეეხებოდა უმთავრესად ა.-კ. დაწესებულებათა ფორმალურ და იურიდიულ ჩამოყალიბებას, საბჭოთა კავშირის ცაკის და ამიერ-კავკასიის ცაკის ერთიერთობათა გამორკვევას. აგრეთვე სწარმოებდა მუშაობა ა.-კ. ცაკის და სახ. კომ. საბჭოს ფუნქციების გამოსარკვევად და განსასაზღვრავად. გამოცემულ დეკლარაციის თანახმად საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ეროვნული ენების შემოღება ა.-კ. რკინის გზებზე. [illegible] მიღებულია ზომები [illegible] სახ. კომის გაერთიანებისათვის.

ეკონომიური ხასიათის საკითხები.

ფულის რეფორმა ჩატარდა ჩვენში სავსებით დამაკმაყოფილებლად და მუშათა და გლეხთა მასების ინტერესების დაუზიანებლად. შრომის ხელფასი რეფორმის პერიოდში იდგა განსაზღვრულ დონეზე და არ განუცდია ოდნავადაც შემცირება.

ფულის რეფორმის ორი მტერი—საბიუჯეტო დეფიციტი და სიძვირე—ამიერ-კავკასიის ეკონომიური ორგანოების განუწყვეტელი მუშაობით—ძლეულ იქნა.

საგადასახადო სფეროში მოხდა საგადასახადო სისტემის უნიფიკაცია. ადგილობრივ სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებზე და სხვა პრო [illegible] მოხდა აქციზის შემცირება [illegible] ზე, და მის პროდუქტებზე [illegible] მარილზე და სხ.)

კანონს ერთიანი სასოფლ [illegible] ნეო გადასახადის შესახებ [illegible] მცირედენი სარედაქციო [illegible] ბა. წინანდელი [illegible] გადასახადის [illegible] ჭველო და საშემოს [illegible] დებისაგან თავისუფ [illegible] ფლის ის მეურნენი, [illegible] ლის მეურნეობის გარ [illegible] გზიდაც მოსამსახურენ [illegible] დაქციით [illegible] მევენახეობის [illegible] შემცირებული [illegible] ვენახებზე. მეურ [illegible] დარგებზე კოოპერ [illegible] ველები.

ცაკის პრეზიდ [illegible] ა.-კ. სხვადასხვა [illegible] აუცილებლად ხელ [illegible] ბრუნვის გაძლიე [illegible] განმტკიცების შე [illegible] გასაყვანად დაარსებუ [illegible] საგზატკეცილო ფონდი [illegible] გროვდება სხვადასხვა გა [illegible] ანარიცხებისაგან.

შემდეგ მომხსენებელი ახლად დაარსებულ ორ [illegible] განმარტავს მათ ფუნქციე [illegible] მოხსენების უკანასკნელ [illegible] შეეხებოდა დროებითი [illegible] კომისიების მუშაობის [illegible]

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲔᲑᲘ № 1, ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲘᲓ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲝ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲮᲕᲘᲚᲔᲜᲥᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲘᲐᲩᲔᲘᲙᲐ.

...რმაზარი დარბაზი გაჭედილია ...სახელოსნოების № 1, გადასა... საშუალებათა სარემონტო ქარ... და ხვილენქის ქარხნის იაჩეიკის ...მოსამსახურეებით.

...უხედავად დაღლილობისა მუშა... შემდეგ, ყველანი დიდი ინტე...თ ისმენენ ამხ. მეძმარიაშვილის ...ენებას.

...ხსენება მოკლეა, მომხსენებელი ...ებს მუშებს ბანდიტ-მენშევიკე... თავადების, მემამულეების და ...ასთების უგონო და ავანტიუ...ტულ გამოსვლების შესახებ. დამს... მუშები სიტყვას აწყვეტინებენ ...ხსენებელს წამოძახილით;

...რამზადები ბანდიტები!

...ზოს ლანძღვა-გინება „აჯანყე...ის" მისამართით.

...ხსენების შემდეგ მიღებული იქ... შემდეგი რეზოლუცია.

...მოვისმინეთ რა მოხსენება საქარ...ლოს მენშევიკების და სხვა კონტრ-რევოლუციონურ პარტიების უკანასკნელ გამოსვლების შესახებ, რომელნიც სცდილობენ ხელახლა დაადგან საქართველოს მშრომელებს მენშევიკური ჩაგვრის უღელი, გამოვსთქვამთ ღრმა აღშფოთებას და მოვითხოვთ უსასტიკეს რეპრესიულ ზომების მიღებას მათ მიმართ.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ამ კონტრ-რევოლუციონურ არამზადების ცდებს!

სახელოსნოების და ქარხნების მუშები ფიცს სდებენ, როგორც ერთი კაცი, ჩვენი მთავრობის პირველ დაძახებისთანავე, დაიცვან საბჭოთა მუშურ-გლეხური ხელისუფლება და გაუსწორდნენ ყველა იმათ, ვინც სცდილობენ ამ ჩვენი ხელისუფლების დამხობას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას!

გაუმარჯოს ბოლშევიკების კომუნისტურ პარტიას!

ᲠᲐ ᲡᲗᲥᲕᲔᲡ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲛᲐ

...მენშევიკების გამოსვლა არის, ...ც მეტი არც ნაკლები, ავანტიურა. ...მშრომელი მასები მათ ჩამოშორდნენ ...დაგმეს მენშევიკური პარტია, ...როგორც სისხლის სამართლის დამნა...ვეთა, მკვლელების, პარტია, რო...მელიც ემყარება ბურჟუაზიას. ...ვერ გლეც ...ჩვენ ვიცით რა ხდებოდა მენშ...ევიკების „დემოკრატიულ" წესწყობი...ლების დროს, როდესაც თბილისში ბრძანებლობდენ გერმანელი და ინგლისელი გენერლები.

მშრომელთა ძალა-უფლების წინააღმდეგ გალაშქრებას ჩვენ არ დაუშვებთ!

დეე, მუშათა და გლეხთა მთავრობამ მიმართოს ავანტიურისტებისადმი ყველაზე მკაცრი ზომები და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს თავად-აზნაურების ბანდიტიზმს!

ᲛᲝᲕᲘᲗᲮᲝᲕᲗ ᲓᲐᲮᲕᲠᲔᲢᲐᲡ

...ავტო-სახელოსნოების № 3 მუშა... მთელ... კრებაზე უპარტიო მუშებმა, მო...ისმინეს რა განცხადება მენშევიკების ...გამოსვლების შესახებ, მოითხოვეს ...ბანდიტურ გამოსვლების ყველა მე...თაურების დახვრეტა. მუშები სდებენ ...ფიცს, რომ იარაღით ხელში დაიცა...ვენ მუშების და გლეხების ხელისუფ...ლებას.

...გამოტანილ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საქართველოს მუშათა და გლეხთა ერთად-ერთი დამცველია კომუნისტური პარტია.

დაუზოგავათ უნდა იქნან დასჯილნი ის მენშევიკები, რომლებიც სცდილობენ იარაღით ხელში დაამხონ მუშათა და გლეხთა ძალა-უფლება!

ძირს გამცემლები და მკვლელები!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ

(...ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ)

...ავანტიურისტებს!—განა... ...ამბის მუშებმა და ...ბმა თავიანთ საერთო კრ... ...ლ სოციალ-გამცემლების ...—ბანდიტების ავანტიუ... გამოსვლ ების საპასუხოდ. ...მა კარგად გაიცნეს მენშევი..., მაშინ როდესაც ისინი იდგენ ...ლისუფლების სათავეში, ღვრიდენ მუშების და გლეხების სისხლს და ჰყიდდენ საქართველოს საერთაშორისო ბურჟუაზიაზე.

ძველის დაბრუნება აღარ შეიძლება.

როგორც ერთი კაცი, გამოვალთ ჩვენ საბჭოების დასაცავად.

ჩვენ მოვითხოვთ ავანტიურისტების დახვრეტას!

ᲬᲧᲔᲕᲚᲐ-ᲙᲠᲣᲚᲕᲐ ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲡ!

როზა ლუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები წყევლა-კრულვას უთვლიან ავანტიურისტებს, მენშევიკების არა... ...ცკას წევრებს, რომლებიც ამზადებდენ შეიარაღებულ გამოსვლას მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მოითხოვენ ბანდიტების მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის ხმარებას.

ᲓᲐᲣᲖᲝᲒᲐᲕᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲨᲘᲨᲕᲚᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲜᲢᲠ-ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების 1-ლი სტამბის მუშათა საერთო კრებაზე 30 აგვისტოს ამხ. აპინინსკიმ და ამხ. ფარნიევმა გააკეთეს მოხსენება მენშევიკების ავანტიურისტულ გამოსვლების შესახებ.

მუშებმა გამოიტანეს შემდეგი რეზოლუცია.

„მოვისმინეთ რა ამხ. აპინინსკის და ფარნიევის განცხადება მენშევიკების მორიგ ბანდიტურ ავანტიურის შესახებ პარიტეტულ კომიტეტთან ერთად, რომელშიაც თავმოყრილია მთელი საქართველოს თავად-აზნაურული, გენერალ-მემამულეთა და ბურჟუაზიული კონტრ-რევოლუცია, ერთხმად ვადგენთ, რომ ჩვენ, მუშები, ყველანი, როგორც ერთი კაცი, დავიცავთ რევოლუციის მონაპოვარს და ჩვენს მოსისხლე მტრებს მოუსპობთ ახალი ავანტიურისტულ გამოსვლების საშუალებას.

ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ჩვენს მუშათა და გლეხთა მთავრობას—დაუზოგავად ჩააქროს კონტრ-რევოლუციის ყოველგვარი ცდა, რომელიც მიმართულია ძველი წესწყობილების დაბრუნებისაკენ.

ჩვენ არ დაუშვებთ, რომ ექსპლოატატორებმა გაიმარჯვონ ჩვენზე.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, მუშათა კლასის სისხლსა და ხორცს.

დაუზოგავი ბრძოლა მენშევიკების გაშიშვლებულ კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც იცავს ბურჟუაზიის და მემამულეების ინტერესებს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, მუშათა კლასის ინტერესების ერთად-ერთ წარმომადგენელს!

ᲫᲘᲠᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲚᲐᲥᲘᲔᲑᲘ

საფეიქრო, საპნის და ზეთის ტრესტის მუშებმა მოისმინეს რა ამხ. ვართაპეტიანის საინფორმაციო მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მენშევიკების გამოსვლების შესახებ, გამოტანილ რეზოლუციაში დაჰგმეს ავანტიურისტი მენშევიკები, რომლებიც გადაიქცენ საერთაშორისო კაპიტალის ლაქიებად და შეგნებულად დასდევს ფიცი, რომ დაიცავენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც არის ამიერ-კავკასიის მშრომელთა ნებისყოფის ერთად-ერთი გამომხატველი.

რეზოლუცია თავდება სიტყვებით: „ძირს მუშათა კლასის გამცემლები მენშევიკები!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!"

Მ Ე Ლ Ი Თ Ო Ნ Ე Ე Ბ Ი.

30 აგვისტოს ლითონის განყოფილების „26 კომუნარის" სახელობის ქარხანაში შესდგა ამავე ქარხნის და სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება, რომელზედაც დაესწრო 300 მუშა. თავმჯდომარეობდა ამხ. ცოვიანოვი. მოსმენილ იქნა ამხ. ნაზაროვის მოხსენება მენშევიკების ავანტიურის შესახებ. მოხსენება ინფორმაციის სახით შეეხებოდა უმთავრესად უკანასკნელ ამბებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქ. ჭიათურაში, სენაკში და სხვა ადგილებში. მენშევიკებმა, როგორც ბანდიტ-ავანტიურისტებმა, მოახდინეს აჯანყება ჭიათურაში გახრწნილ თავად ანდრონიკაშვილის მეთაურობით და გაილაშქრეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ვინ არიან ეს ბანდიტები და რა სურთ ამ ვაჟბატონებს, ხალხის მძარცველებს, ბანდიტ-გამყიდველებს?—სისხლი, აჯანყება, აწიოკება და ქვეყნის აოხრება. ეს ის ბანდიტებია, რომელნიც ხოცავდნენ და ჟლეტდნენ მუშებს და გლეხებს.

საზოგადო კრებამ ამხ. ნაზაროვის მოხსენების შემდეგ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მელითონე მუშები სასტიკ პროტესტს აცხადებენ ავანტიურისტ მენშევიკების წინააღმდეგ, მოითხოვენ მათ დახვრეტას და აცხადებენ, რომ ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ მუშურ-გლეხურ მთავრობას ბანდიტებთან ბრძოლაში და თუ საჭირო იქნება მელითონეები, მზად არიან გამოვიდნენ იარაღით ხელში საბჭოთა ხელისუფლების დასაცავათ.

ძირს მენშევიკი—ბანდიტ-ჯალათები! გაუმარჯოს საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ

პირველ ქართულ ლეგიონში შესდგა ამავე ლეგიონის მთელი შემადგენლობის კრება, სადაც მოსმენილ იქნა მოხსენება ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ადგილებში მენშევიკური ბანდების გამოსვლების შესახებ.

ლეგიონის მთელი შემადგენლობა სასტიკად აღაშფოთა მუშათა კლასის ამ გამყიდველების მორიგ პროვოკაციულმა გამოსვლებმა. კრებას გამოაქვს შემდეგი შინაარსის რეზოლუცია:

„მოვისმინეთ რა მრავალ ამხანაგების მოხსენება საქართველოს ზოგიერთ ადგილებში მენშევიკურ ბანდების გამოსვლების შესახებ, ჩვენ პირველი ლეგიონის უფპოლიტ-შემადგენლობა და წითელ არმიელები ვადასტურებთ, რომ აღნიშნული გამოსვლები არის უსაზიზღრესი ავანტიურა.

მენშევიკურ ბანდიტურ გამოსვლებს მეთაურობენ: ყოფ. თავადები, გაკრეჭილი მღვდლები, ვაჭრები და ყოფ. კონტრ-რევოლუციონური ოფიცრობა.

მუშები და გლეხები, რომელთა მტკიცე ნების ყოფას ეყრდნობა საქართველოს საბჭოთა მთავრობა ამ ავანტიურისტებს სასტიკად სდევნის და ანადგურებს.

ლეგიონის მთელი შემადგენლობა აქვეყნოთ აცხადებს, რომ იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა ქვეყნის ეკონომიურად მოღონიერების საქმეს, იმ დროს როდესაც მრავალი სკოლებით იფინება ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი და მშრომელი ხალხის შვილებს საშვალება მიეცათ მიიღონ სწავლა-განათლება, იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება და მასთან მთელი მშრომელი ხალხი ებრძვის იმპერიალისტურ ომების საშიშროებას, მშრომელი ხალხის ჩაგვრა-მონობას და წვრილ ერებს შორის ამყარებს მშვიდობიანობას და ძმურ თანამშრომლობას, ამ დროს მშრომელი ხალხის გამყიდველი პარტია გამოდის და აჯანყებას გვიწყობს თავისი ყოფ. მშიერ თავადების, მღვდლების, მიკიტნების და კონტრ-რევოლუციონური ოფიცრების რაზმების საშვალებით.

მენშევიკურ პარტიას დღეს სურს გაანადგუროს მშრომელი ხალხის მონაპოვარი მისი ხელისუფლება და ქვეყნის ავლა-დიდება, მაგრამ ამაოდ! საქართველოს მშრომელი მასა მათ არ გაყობა, მათ სრულებით გამოააშკარავეს თავისი მოღალატეობა და კონტრ-რევოლუციონური ბუნება თავიანთი ბატონობის დროს საქართველოში. პირველ ლეგიონის უფ-პოლიტიკურ და წითელ არმიელთა მთელი შემადგენლობა ფიცს ვსდებთ, საბჭოთა ხელისუფლების და მსოფლიო მუშათა კლასის წინაშე, რომ სასტიკად გავილაშქრებთ ამ მოღალატეების წინააღმდეგ.

ჩვენ დაუმტკიცებთ საერთაშორისო პროლეტარიატს, რომ ჩვენ ვიცავთ მუშებისა და გლეხების ინტერესებს და მას არავის შევალახვინებთ.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს წითელ ჯარს და მის სულის ჩამდგმელ ამხ. ტროცკის!

ძირს გამყიდველი მეორე ინტერნაციონალი და მისი მაჩანჩალა საქართველოს მენშევიკური პარტია!

ძირს ავანტიურისტი მენშევიკები!

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ.

1-ლ სექტემბერს შესდგა რუსულ მე-№ ლეგიონის მე-№ ჯავშნოსან დივიზიონის და ქართულ მეთაურთა გაერთიანებულ სკოლის საერთო კრება. კრებამ მოისმინა ამხ. ჩანტლაძის მოხსენება მენშევიკების პროვოკაციული გამოსვლების შესახებ და გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

როგორც ყოველთვის ჩვენ დღესაც მტკიცეთ ვდგევართ მუშურ-გლეხური ხელისუფლების სადარაჯოზე და ვფიცავთ რომ ჩვენი ენერგია და სიცოცხლე შევსწიროთ მუშურ-გლეხური ხელისუფლების დაცვის საქმეს.

კონტრ-რევოლუციონურ ბანდიტური გამოსვლებით, რომელიც მიმართულია ამიერ-კავკასიის მშრომელთა მშვიდობიანი და ძმური ურთიერთობის დარღვევისაკენ, ვერას გახდებიან ბატონი მენშევიკები.

ძირს მენშევიკ ავანტიურისტები, ყოფილი თავადები, გაკოტრებული მღვდლები და „კულაკები".

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართ!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ 10 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ვინაიდან წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია უნდა მოხდეს ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე, ე. ი. 1927 წლის ნოემბრისათვის, საჭირო ხდება პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს მიერ მუშაობის ერთი სამად გაცხოველება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მიღებულია კონკრეტიულ ღონისძიებათა მთელი რიგი, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲐᲒᲣᲠ-ᲙᲠᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ.

ზუგდიდის მაზრაში არსებობდა სარაიონო კოოპერატიული კავშირი, რომლის ავლა-დიდება რამოდენიმე ათეულ ათას მანეთს აღწევდა ოქროთი. ეს კავშირი ითვლებოდა საქართველოში ცეკავშირის შემდეგ უძლიერეს კოოპერატიულ ორგანიზაციად.

დღემდე ეს სიმდიდრე შერჩენია ამ კავშირს.

მის განკარგულებაში იყო შემდეგი წამოწყებანი: 1) აგურ-კრამიტის ქარხანა (გერმანული ტიპის მანქანები), 2) ხე-ტყის ქარხანა, 3) მექანიკური სახელოსნოები, 4) სადურგლო-საკალატოზო, 5) სახარაზო და სხვა.

მე შევჩერდები ჯერჯერობით აგურ-კრამიტის ქარხანაზე.

ქარხანა მოწყობილია ყოველ მხრივ. აკლია მარტო ქურა აგურის და კრამიტის გამოსაწვავად. ყოველგვარი მასალა, რაც საჭიროა ამ ქურას გასაკეთებლად, უკვე დამზადებულია (აგური, ქვა, სილა, კირი და სხვა). მუშებისათვის ორი მოზრდილი შენობა დამთავრებულია 1921 წელს. არის აგრეთვე შენობა ტეხნიკური პერსონალისთვის. აგურ-კრამიტის ქარხანა გაშენებულია ზუგდიდიდან ხუთ ვერსის მანძილზე. შავი ზღვის რკინის გზიდან პირდაპირი ხაზით ვერს ნახევარითაა დაშორებული სოფელი ჭითა-წყალში, სადაც ქარხანაა გაშენებული, არის უძირებელი სივრცის წითელი თიხის საბადო. ანალიზმა დაამტკიცა, რომ ამ თიხისაგან დამზადებული აგური და უფრო მეტად კრამიტი 25 პროც. უფრო კარგი ღირსებისაა, ვინემ თვით „მარსელის".

აქ ბლომადაა აგრეთვე ეგრეთ წოდებული ცეცხლ-მძლე თიხა, რასაც დიდი მოთხოვნილება აქვს ჩვენში და ძნელი საშოვარიცაა. ჭითა-წყალის რაიონში ბევრ ადგილებშია ისეთი ფერი თიხაც, რომლისაგან, როგორც ცდამ დაამტკიცა, საუცხოვო ჭურჭლეულობის დამზადება შეიძლება. სოფელი ონარია (ჭითა წყალის ცენტრი) მდიდარია ეგრედ წოდებული „ტორფით". ეს ხომ უფრო სათბობი მასალაა ღუმელ-ფეჩებისათვის. ზოგ ადგილას 16 გოჯის სისქეზე არის და ზოგან 7—8 გოჯის. მისს დასაჭრელად და ქარხანასთან მოსატანად დამზადებული იყო და შეძენილი ვიწრო ლიანდაგი თავისი რონოდებით. ქარხნის ირგვლივ სახლობენ ამ მუშაობაში დახელოვნებული პირები. ქარხანას წელიწადში შეუძლია რამოდენიმე მილიონი აგურ-კრამიტი გამოუშვას. ხე-ტყის სიშორისა გამო ადგილობრივ დამზადებული აგურ-კრამიტი გაცილებით მეტად იაფი ჯდება, ვინემ ხის მასალა. ზუგდიდის აგურ-კრამიტის ქარხანა რომ ამუშავდება, მისი ფაბრიკატი მასიური დამზადების გამო და საუკეთესო ხარისხით სულ მოკლე ხანში დაიპყრობს ბაზარს და ხმარებიდან განდევნის ხის მასალას.

ხოლო ეს მოვლენა დიდად საინტერესოა და საჭირო. ყველამ კარგად იცის, რომ აგურის შენობა და კრამიტით დახურული სადგომები მეტ ხანს სძლებენ და უფრო მეტად დაზღვეულნი არიან ხანძარისა და სხვაგვარი სტიქიური მოვლენისაგან.

ეს ქონება დღეს ცეკავშირის გამგებლობაშია. მიუხედავად იმისა, რომ წელიწადი არის თითქმის, რაც ხელ ახლა იქნა გეგმა შედგენილი მის ექსპლოატაციისა, ჯერ-ჯერობით ქარხანა გაჩერებულია, მანქანები იჟანგებიან, ფუჭდებიან და შეიძლება ნაწილობრივ იკარგებოდეს კიდეც. გარდა ამისა საბინაო შენობები უპატრონოდ დგანან და ლპებიან. დარაჯი ტყვილა მიაქვს ქირა. სამწუხარო არის, რომ ტეხნიკურად მოწყობილ ქარხნის გვერდით, პრიმიტიულ წესით კერძო პირები აგურ-კრამიტის დამზადებას ეწევიან; თუმცა ზღაპრული ფასები აქვთ დაწესებული, მაგრამ მოსახლეობა, შემდგარი აღორძინების გზაზე, მაინც იძენს და მასთან ერთად იყვლიფება.

საჭირო არის ამას მიექცეს სათანადო ყურადღება. ცეკავშირს შეუძლია, თუ თვით არა აქვს, სახელმწიფოსაგან აიღოს საჭირო თანხა (დაახლოვებით საჭიროა 15.000 მანეთამდე) და ეს ფრიად საჭირო ქარხანა აამუშაოს. თუ ეს არ შეიძლება, მაშინ სხვა ვინმე უნდა გამოუჩნდეს პატრონი, იჯარით კი მისი გაცემა არ არის ხელსაყრელი და სირცხვილია, როცა მას კოოპერაცია პატრონობს.

უკიდურეს შემთხვევაში ან მაზრის აღმასკომი, ანდა მაზრაში არსებული კოოპერატივები უნდა გაუძღვონ ამ საქმეს.

დაყოვნება შეუძლებელია.

„მგზავრი".

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ᲛᲝᲣᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲢᲘᲠᲘᲤᲝᲜᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ

ტირიფონის ველი უშველებელი და თვალუწვდენელი მინდორია, რომლის სიგრძეც 35 ვერსს აღემატება და რომელიც სამართლიანად ითვლება გორის მაზრის ბეღლათ. ამ უშველებელ ველის აქეთ-იქით აღმართულს მთაგორაკებზე გაშენებულია მთელი რიგი სოფლებისა: შაშვები, ნაწრეტი, ნადარბაზევი, ნიგოზა, რენე, კოდის წყარო, ორჯო, შენი, პატარა და დიდი ხურვალეთი, რომელთა ერთად-ერთს ცხოვრების წყაროს პურისა და ქერის მოსავალი შეადგენს და თივის საძოვრები.

ეს უზარმაზარი ველი სრულიად ურწყავია და გარდა ამ პურისა და ქერისა სხვა არაფერი მოდის. პური ქართლა კარგი ღირსებისა მოდის და მასთანვე ძალიან უხვიც, თუ ერთი გარემოება ხელს შეუწყობს ხოლმე. ეს გარემოება კი გახლავთ გაზაფხულის წვიმები; თუ გაზაფხული წვიმებიანია მოსავალი ტირიფონაზედ ზღვათა სკდება, და თუ არა ტირიფონა განსაცდელში ვარდება. ასეთი სამწუხარო გარემოება იყო სწორედ წელს. უთოვლო ზამთარმა ისე გაამრავლა მინდვრის თაგვი, რომ ზოგ ადგილებში ნახევარზედ მეტი ჯეჯილი სულ ერთიანად გასძოვა. თუმცა გორის მაზრის აგროდახმარებამ ყოველივე ღონე იღონა ამ თაგვების გასაწყვეტად, მაგრამ ყველგან გაწვდომა ძნელი იყო და მეორედ კიდევ ხალხი შეუჩვეველი იყო და ალმაცერად შეხედეს ზოგ ადგილას გლეხკაცობამ. შემდეგ ხომ მთელი გაზაფხული ისე გავიდა, რომ ნამიც არ გადმოვარდნილა და ამან ისეთი გვალვის ტრუსი დაატრიალა ტირიფონაში, რომ მთელს მოსავალზე ხელი აიღებინა ბედკრულ მიწის მუშას. ნათესი მიწას ვერ ასცილდა, თავთავი ვერ გაიკეთა და თუ ზოგიერთ ბედნიერს ადგილას გაიკეთა, კიდეც მეტის-მეტად ფუტი და გამოუსავლიანი. თვალცრემლიანი შესცქეროდა საბრალო მიწის მუშა ამ თავისს მთელის წლის ნაამაგარის დაღუპვას, მაგრამ უძლური იყო ეხსნა დაღუპვისაგან თავისი სარჩო-საბადებელი, რადგანაც მთელი ტირიფონა წყლის მხრივ უდაბნოს წარმოადგენს, და გარდა მცირე წყაროებისა სარწყავი წყალი არსად მოიძებნება. დარჩა გლეხკაცი ხელცარიელი და თუ მოუვიდა კიდევ რამე, ისიც ორ-სამ თვეს თუ გაჰყვებათ, თორემ მეტი არა. მაგრამ საჭმელი პურის გარდა საჭიროა სათესლე და აი ეს უფრო აწუხებს და ბოლოში აგდებს ტირიფონელს.

რასაკვირველია პურის მოუსავლობასთან მოჰყვა ბზის და თივის მოუსავლობა. ტირიფონა ამ მხრივაც გამოუვალ ბეღელს წარმოადგენდა. ის აუარებელი თივა, რომელიც დაპრესილი გადის გორის მაზრიდან და დაწყობილ ბათომიდან ბაქომდის ასაზრდოებს სამხედრო უწყებისა და სხვათა ცხენებს, უმთავრესად ტირიფონიდან მიდიოდა. ღირსებითაც თივაცა და ბზეც ტირიფონისა საუკეთესო ითვლება და ბევრი ხალხიც ეტანებოდა მას, მაგრამ წელს ტირიფონის არამც თუ გასასყიდი თივა და ბზე, არამედ თავისი საქონლისათვის გამოსაკვებიც არ მოეპოვება. და აი ეს უკანასკნელი გარემოება უფრო ყველაზედ აღარდებს და სასწორკვეთილებაში აგდებს. რომელი ერთი იდარდოს—თავისს თავის გამოკვება, თუ საქონლისა.

ყველა ამის გარდა, ტირიფონის სოფლებში გაჩნდა საქონლის ჭირი (чума, რომელმაც საგრძნობი ზარალი მიაყენა განსაკუთრებით სოფელ ნადარბაზევს და ნიგოზას, პირველ მათგანში ამ ავადმყოფობამ იმსხვერპლა ოთხმოცი სულზედ მეტი მსხვილფეხი საქონელი, რაიც სოფლის მოხელეთა უყურადღებობას უნდა მიეწეროს და სათანადო ხელისუფლებისათვის დროზედ არ შეტყობინებას.

ასეთს ბედშავსა და პირქუშ პირობებშია დღეს ტირიფონის საქმე. მაგრამ სწორედ ეს უკუღმართობა და ბუნების სივაგლახე დააჩქარებს ტირიფონის გრანდიოზულის პლანის განხორციელებას, მის მოსარწყავ არხის გაყვანის საქმეს, ტირიფონის არხი, რომელსაც 60 ვერსი სიგრძე ექნება და რომელიც დიდი ლიახვიდან იწყება, გადარწყავს და გაანოყიერებს მთელის ტირიფონის გულმკერდს. ეს არხი უკვე კეთდება და დღეს როცა ტირიფონს ასეთი მოუსავლობა და სიმშილი ეწვია, უნდა დაჩქარებითი წესით გაკეთდეს იგი. ამითი დღეს ორი საქმე გაკეთდება, ორი კურდღელი მოიკვლის, დამშეული, ღარიბი ხალხი ერთის მხრივ სამუშაოს იშოვნის და ამ მოუსავლიანობის დროს იოლად გაიტანს თავს და მეორეს მხრივ საშვილიშვილო საქმე ერთხელ და სამუდამოდ გაკეთდება. ისმინეთ ვისაც კი შეგიძლიანთ ამ საქმის დაჩქარება, მიხედეთ გაჭირვებულ ხალხს.

შერინბეგი.

ᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲓ

(ᲐᲛᲮ. ᲘᲐᲙᲘᲜᲗᲔ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ)



ამხ. იაკინთე მაღრაძე

25 აგვისტოს შესრულდა 19 წელი, შემდეგ, რაც ჩვენს რიგებს გამოაკლდა ერთი შენიშნული, დაუღალავი და ... მებრძოლი ამხანაგი, იაკინთე მაღრაძე.

იაკინთე ერთი ღარიბი ლელენელი (შორაპნის მაზრის) გლეხის შვილი იყო. სიღარიბეში ნაზრდი, გლეხის ქოხის ღვიძლი შვილი, ქალამნის ჯდანებში გამოზრდილი და სოფლის მუშის გულის მეგობარი იაკინთე ყრმობიდანვე იღებოდა ამა ქვეყნის მუქთახორათა შურის საძიებლათ. ის ხარაგოულის ორკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა იმ ჟამათ გორში არსებულ საოსტატო სემინარიაში, სადაც დაამთავრა სწავლა რიგიან მოწაფეთ ... დანიშნულ იქნა რუისში ... მასწავლებლად.

იაკინთეს მე გავეცანი 1903 წელს ქ. გორში ერთ კრებაზედ, სადაც ფარულათ თავმოყრილი ვიყავით ადგილობრივი არალეგალური მომუშავენი.

იაკინთე ამ კრებაზე იყო. ის, ეტყობოდა ჯერ კიდევ არ დამდგარიყო მარქსისტულ გზაზედ, მაგრამ მის რიხიანი, გადაწყვეტილი, რწმენით სავსე და გლეხის სიყვარულით ... გული გვარწმუნებდა, რომ იგი ჩვენთან უნდა ყოფილიყო, მუშათა საქმისათვის უნდა მომკვდარიყო.

მას იმ ჟამად ნაროდნიკული აზრები უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე მარქსისტული, მაგრამ, რომ მონარქიის, თავადაზნაურობის, სამღვდელოების და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოსადეგი იყო—ეს ჩვენთვის ნათელი და უეჭველი იყო და ამიტომ მისი ამხანაგათ მიღება ჩვენ ყველამ ერთხმათ საჭიროთა ვცანით—წინ ასეთი საზომი იყო ამხანაგების აღრიცხვისათვის.

ჩვენ გადავსწყვიტეთ იაკინთეს ახლო ყოლა, მისი გამარქსისტება და საიდუმლო საქმეებში ჩარევა. აზრი გაგვიმართლდა. იაკინთე საბოლოოდ ეარჰყო ნაროდნიკული გზა და დაეწაფა მარქსიზმს, და შემდეგ გადაჭრით მიემხრო ბოლშევიზმს, და მუშაობდა გორის მაზრაში, რუისში.

იაკინთეს ერთ წამსაც აღარ გადაუხვევია შემდეგ ბოლშევიკურ ტაქტიკისათვის. ის მუდამ მოწინავე ამხანაგთა რიგებში იყო, მათ ჭირვარამს ერთგულად იზიარებდა. მალე იაკინთე ოჯახურ მდგომარეობით იძულებული, ამხანაგების თანხმობით, სტოვებს გორის მაზრას და მიეშურება თვის ყრმობით ნაცნობ კუთხისაკენ. აქ იაკინთე ღებულობს დანიშნულებას მოლითის სკოლაში და იქვე ეწევა განათლების საქმესთან ერთად პარტიულ მუშაობას. აქ მან მალე შექმნა წითელი რაზმები და მოაწყო მოლითის ბოლშევიკური ქვერაიონული კომიტეტი, რომელიც ხარაგოულის რაიონულ კომიტეტთან იყო დაკავშირებული.

იაკინთე ხარაგოულის რაიონის კომიტეტის წევრი იყო და ითვლებოდა ერთ თვალსაჩინო მომუშავეთ. მეც ამ ჟამად იქ ვიმყოფებოდი, თვალყურს ვადევნებდი მის მუშაობას და ვრწმუნდებოდი, რომ ის არაფრით არ ჩამოუვარდებოდა სხვა მოწინავე ამხანაგებს.

დიდ ხანს ვერ იცოცხლა იაკინთემ. მან სიჭაბუკეშივე მიატოვა თვისი საყვარელი პარტია—ის მოულოდნელად ხელიდან გამოგვაცალა შავი ბრბოს მიერ ნასროლმა ტყვიამ.

25 აგვისტოს იაკინთე მარელისში მიაწყდა ერთ მეტად საეჭვო შეიარაღებულ ჯგუფს. გლეხებმა მიმართეს იაკინთეს შველისათვის, რომ უკანასკნელნი განეიარაღებინათ და მით თავიდან აეცილებინათ რაიმე ცუდი შემთხვევა. იაკინთე მუდამ გლეხის ჩივილის ყურადმღებელი თამამად მიდის ბრბოს ერთ წევრთან და ეკითხება ვინაობას. იაკინთე ატყვევებს უიარაღოთ ბოროტ-გამზრახველს, მაგრამ იგი ეცემა ძირს ბრბოს წევრის ნასროლი ტყვიით.

შეიძრა მთელი რაიონი, ყველას საზიზღელი მწუხარების დაღი დააჩნდა. ყველამ იგრძნო, რომ რაიონს დააკლდა ერთი საუკეთესო მოჭირნახულეთაგანი და პარტიას კი თავდადებული მებრძოლი. იაკინთეს ცივ გვამს ყველა მხრიდან მოაწყდა მეგობართა ურიცხვი ჯგუფები. არ იყო იმ დროს დასავლეთ საქართველოში ისეთი პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც თავის წარმომადგენელი არ გამოეგზავნა.

ხარაგოულის ორგანიზაციას თავის წარსულში ნაკლებათ მოაგონდება ისეთი დღე, გარდა 1905 წ. დეკემბრის დღეებში შეიარაღებულ აჯანყებისა, როგორიც იყო იაკინთეს დასაფლავების დღე. 36 გვირგვინი, 15 რაიონული და სხვადასხვა ორგანიზაციის წითელი დროშები, 5.000 კაცი თავ მოყრილი მებრძოლის საფლავზე და დაუთავებელი სიტყვები, მკაცრ რეაქციის ხანაში, იყო საჩუქარი დაობლებულ ბოლშევიკურ რიგებისათვის და უტყუარი თავდები მომავალი სრული გამარჯვებისა.

ამის შემდეგ ლელვნის სასაფლაოს აბარია ჩვენი იაკინთეს გვამი... დაობლებულ მებრძოლთა რიგებს ამხნევებს, აჯაგებს და სახელს უხვევს იაკინთეს თავდადებულობა. იაკინთე მოკვდა ოქტომბრის რევოლუციის სამზადისში... მისი მიზანი ფაქტათ იქცა. კომუნისტური პარტია, რომლის მედროშეთ იყო იაკინთეც, დღეს წელში გამაგრებული, ანდერძს უგებს როგორც შავ ბრბოებს, ისე მის მშობელს—კაპიტალს. იაკინთეს და მის მზგავსებს ჩვენ ვერ დავივიწყებთ. მისი ხსენება ჩვენს გულში მუდამ იქნება წაუშლელი.

გ. ელიზბარაშვილი.

30 აგვისტო 1924 წელი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

— **იძულებითი სამუშაო.** ივლისის და აგვისტოს განმავლობაში იძულებითი სამუშაო მიესაჯათ თბილისში 31 მოქალაქეს, მათ შორის 3 ქალია.

— **ჯანმრთელობის კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვა.** ა/კ. ფინანსთა კომისარიატმა დაამტკიცა ჯანმრთელობის კომისარიატის 1924—25 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.

— **ცირკის შეკეთება.** ქ. კომუნალურ განყოფილებამ საფუძვლიანათ შეაკეთა ცირკი, ვერის დაღმართზე მდებარე.

— **შემოკლებული მისამართები.** ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის დადგენილებით ის წერილები, რომლებზედაც მისამართები აღნიშნული იქნება შემოკლებით, არ იქნება გაგზავნილი.

— **ფასდადებულ წერილების გახსნა.** ფ.-ტელეგრაფის სამართველომ წინადადება მისცა თავის ქვემდებარე დაწესებულებას ფასდადებული წერილები არ მიიღონ გაუხსნელათ და გაუსინჯავათ რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ.

— **სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი.** საქ. სასოფლო-სამეურნეო მუზეუმმა შეიძინა ახალი სასოფლო-სამეურნეო დარგიდან ახალი ნიმუში. ივლისის განმავლობაში მუზეუმი დაათვალიერა 289 კაცმა.

— **ციმბირის წყლული.** მიწად-მოქ. კომისარიატის ცნობით, ივლისის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ციმბირის წყლულმა თავი იჩინა 13 მაზრაში.

— **მიწის რეფორმა.** მიწად-მოქ. კომისარიატის ცნობით, ივლისის განმავლობაში უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონეთა შორის განაწილებული იქნა 2012 მიწის ნაკვეთი, სივრცით 494 დესეტინა.

— **ტრამვაით მოგზაურობის წესები.** ქ. კომუნალურმა განყოფილებამ მიიღო გეგმა ქალაქის ტრამვაით მოგზაურობის წესების შესახებ.

— [illegible] კომმა აღრიცხა 2151 კაცი, რომელთა [illegible]

— **ხუდადოვის ტყე.** ხუდადოვის ტყეში გაკეთებულია ახალი მოედანი კულტურულ ტყის გასაშენებლათ.

— **ქალაქების გამოკვლევა.** [illegible] სტატისტიკურ სამმართველომ დაამთავრა რესპუბლიკის 17 ქალაქის სტატისტიკური გამოკვლევა.

— **ქ. ალმასკომის დათვალიერება.** საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაადგინა უახლოეს ხანში დაათვალიეროს და გამოიკვლიოს ქ. ალმასკომის მუშაობა.

— **პატიმართა სახელოსნოები.** აგვისტოს განმავლობაში № 1 გამსახ... პატიმართა სახელოსნომ დასამზადებლათ აიღო 4.155 მ. შეკვეთა, რომელიც ნახევარი უკვე შესრულებულია.

— **საძოვრები.** გორის მაზრაში ივლისის თვის განმავლობაში საძოვრებიდან შემოვიდა 2.234 მან. და 80 კ., ადგილობრივ გარჩეულია და მოწესრიგებული 18 სადაო საკითხი საძოვრების შესახებ.

— **გლეხკომების მაღაზია.** გორის თემ-გლეხკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ გორის გლეხკომის მაღაზიის საქონელზე დააწესოს პროცენტული გადასახადი შრომის და ომის ინვალიდების სასარგებლოთ.

— **ელექტრო-სადგური.** ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომმა ელექტრო-ტრესტთან დასდო ხელშეკრულება ლეჩხუმში ელსადგურის აგების შესახებ.

— **თვალის ექიმთა რაზმი.** ახალციხის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ახალციხის მაზრაში თვალის ექიმთა რაზმის გაგზავნის შესახებ.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ

ᲡᲝᲤ. ᲒᲠᲔᲛᲘᲡᲮᲔᲕᲘ (დუშეთის მაზრა)

სოფ. გრემისხევი მდებარეობს ქ. დუშეთის დასავლეთით, 9—10 ვერსის მანძილზე. გარშემორტყმულია საკმაოდ მოზრდილ და ხშირი ტყით დაფარულ სერებით. ჩრდილოეთის მხრივ მას ამაყად დაჰყურებს „უნაგირის მთა", რომლის მწვერვალი მოსჩანს სხვადასხვა ადგილებიდანაც. ამ მთის ძირიდან იწყება ხეობა „ნარეკვავის" სახელწოდებით, საიდანაც ღებულობს სათავეს მდინარე „ნარეკვავი". ეს მდინარე ჩამოუდის სოფ. გრემისხევს, მჭადისჯვარს, ძალისს და სხვა სოფლებს, სოფელ ნაჰახტარის ქვევიდან იგი უერთდება მდინარე არაგვს.

ნარეკვავის ხეობა მოფენილია მრავალი პატარ-პატარა, ქართველების და ოსების სოფლებით. ყველა ეს სოფლები შეადგენენ გრემისხევის საზოგადოებას. ამ საზოგადოებაში არის 400 მეკომურზე მეტი მცხოვრები, რომლებიც გაფანტული არიან მდინარე ნარეკვავის გარშემო.

სახნავ-სათესი მიწები გრემისხევში ურწყავია და მასთან მეტნაწილად ქვრდობიანი. აქაურ მიწის მუშას დიდის გაჭირვებით უხდება მიწის დამუშავება. გაუმჯობესებული იარაღების ხმარება ამ სოფელში სრულებით არა აქვთ შემოღებული და მიწას მუშავებენ ისევე მამაპაპური იარაღის საშუალებით. აქაური მცხოვრებლები მისდევენ განსაკუთრებით ხვნა-თესვას. სთესვენ: პურს, ქერს, სიმინდს, ლობიოს და სხვა.

აქ არ არის ვენახები და ხილის ბაღები, თუმცა მეხილეობამ შესაძლებელია კარგი შედეგი მოიტანოს. აქ მისდევენ პატარ-პატარა მებოსტნეობას და ისიც მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ამ სოფელს უმთავრესად აწუხებს უგზოობა, რის გამოც მცხოვრებნი განიცდიან დიდ დაბრკოლებას. საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებში ამ გარემოებას თუმცა ჰქონდა მიქცეული დიდი ყურადღება და კიდეც დაიწყეს გზის გაყვანა, მაგრამ სამწუხაროდ, სხვადასხვა ტეხნიკური მიზეზების გამო, ეს დაწყებული საქმე ისევე შეჩერდა და დღესაც უყურადღებოთ არის დარჩენილი, მცხოვრებლები იმედს არ ჰკარგავენ, რომ მაზრალმასკომი ამ დაწყებულ საქმეს ახლო მომავალში მოიყვანს სისრულეში.

გარდა უგზოობისა, ამ სოფელს აწუხებდა დიდათ სამედიცინო დახმარების უქონლობა. მართალია, ამ დახმარებას ისინი იღებდენ ქ. დუშეთიდან, სოფ. მჭადისჯვრის და ახალგორის საექიმო პუნქტებიდან, მაგრამ ამ სამედიცინო პუნქტების სიშორისა და მასთან ცუდი გზებისა გამო, მცხოვრებნი დიდს გაჭირვებას განიცდიდენ. მიუხედავათ იმისა, რომ მცხოვრებლებს არა ერთხელ მიუმართნიათ ყოფილი ხელისუფლებისათვის, რომ მათ გაეხსნათ სოფ. გრემისხევში საფერშლო პუნქტი, მათი თხოვნა მუდამ უყურადღებოთ რჩებოდა. მხოლოდ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ შესძლო ამ დიდი ხნის სურვილის სისრულეში მოყვანა. ა. წ. ივლისის 27 სოფ. გრემისხევში დაარსებულ იქნა საფერშლო-საბებიო პუნქტი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რა აღფრთოვანებით მიეგება პუნქტის დაარსებას ადგილობრივი გლეხობა, დიდი, თუ პატარა, ქალი, თუ კაცი. გლეხის სახეზედ რაღაცა არაჩვეულებრივი ღიმილი იხატებოდა და რაღაცა ღრმა სიხარულის სხივი გამოსჭვიოდა. ხშირად გაიგონებდით მათ შემდეგ სიტყვებს: „აგვისრულდა ჩვენი დიდი ხნის სურვილი; ჩვენი ტანჯვა ნახევრად შეგვიმსუბუქდა და თუ ერთი გზაც როგორმე გაგვიკეთდა, მერე არაფერი გვიშავს". დიდს მადლობას უძღვნიან სოფ. გრემისხევის მცხოვრებნი დუშეთის მაზრალმასკომს და მაზრალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგეს, ამხ. გიორგი შიუკაშვილს, რომელმაც დიდი ენერგია დახარჯა, რათა ამ სოფელში გაეხსნა ხსენებული პუნქტი.

სოფ. გრემისხევის მცხოვრებნი აგრეთვე იმედს გამოსთქვამენ, რომ მაზრალმასკომის მიერ ახლო მომავალში ხელახლად იქნება დაწყებული იმ გზის გაყვანა, რომელიც უკვე დაწყებული იყო და ამჟამად კი შეჩერებულია, და აგრეთვე განახლდება ყოფილი კოოპერატივი და სამკითხველო, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობენ.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ აღმშენებლობას. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

„ნორჩი".

ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐ

25 აგვისტოს, საღამოს საბჭოთა თეატრის დარბაზში მოხდა საზეიმო დახურვა მასწავლებელთა კურსების. შეიკრიბნენ რა ორივე კურსების მსმენელნი, დაახლოებით 225 კაცამდე, განათლების განყოფილების თანამშრომლებით და ლექტორთა კორპორაციით ადგილობრივი ტეხნიკუმის დარბაზში, მწკრივად დარაზმულებმა, მუსიკით წინ გაიარეს ქალაქის მთავარი ქუჩები და შევიდნენ საბჭოთა თეატრში.

საამო იყო ეს სურათი!.. განათლების შემტანი ბნელ სოფელში, წასასვლელად მომზადენ ახალი აზრებით, ახალი იდეით.

უკვე საღამოს 7 საათია. საბჭოთა თეატრი გატენილია ხალხით, ბევრია ახალგაზრდობა, მოსამსახურენი და მშრომელი მოსახლეობა. თითქოს ყველას უხარია, რომ ასე ზეიმით აცილებენ განათლების მუშაკთ.

განათლების ინსპექტორი ამხ. ვ. ქობულია ხსნის საზეიმო სხდომას და ვრცელ მოხსენებას აკეთებს მასწავლებლის მოვალეობის შესახებ სოფლად. მისი სიტყვა ინსტრუქციული ხასიათისაა, შრომისკენ მოწოდებაა, აღზრდის საქმის განვითარებაა.

სამპარტკომის სახით სიტყვას ამბობს ვ. ჩაკვეტაძე, სამაღმასკომის—კ. მელიქაძე, ახ. კომ. კავშირის სახელით—შ. კაჭარავა, გან. მუშ. კავშირის—მ. კაჭარავა, ლექტორთა კორპორაციის სახელით—მ. ლაზარტყავა, მე-3 კურსების მსმენელთა სახელით მასწ. ჩიჩოგიძე, მე-4 კურსების მსმენელთა სახელით ვარლამ ქიიავა, კურსების გამგეები ვლ. დემურია და ი. ცომაია.

მოკლე სიტყვით ვ. ქობულია ხურავს სხდომას. მასწავლებლობა ერთად მღერის ინტერნაციონალს. ბოლოს ნაჩვენები იქნა კინო-სურათი უფასოდ მასწავლებელთათვის. მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლუცია.

მასწავლებლობა დაუბრუნდა სოფელს. ის შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და საბჭოთა ხელისუფლებაც შექმნის მისთვის ხელსაყრელ პირობებს.

მასწავლებლობა ულრმეს მადლობას უცხადებს ენერგიულ და დაუღალავი მუშაობისთვის განათლების ინსპექტორს ვ. ქობულიას, კურსების გამგეებს ვლ. დემურიას, ი. ცომაიას და მთელი ლექტორთა კორპორაციას.

ბაგრატ უჩანეიშვილი.

მუშათა ცხოვრება

[illegible]ვშირია დასასვენე[illegible] სახლებში მოსვენება

(რკ. გზ. პროფკავშირის საყურადღებოდ)

ჩვენ, საკონ. სადგ. ტვირთმზიდველი [illegible] ვითვლებით [illegible] წევრებათ. კეთილსინდისიერად ვეწევით მძიმე მუშაობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენზე ნაკლებად [illegible]. დასვენების დროს ჩვენი [illegible] მიდიან სოფელში, სადაც თოხნას და ხვნა-თესვას ეწევიან. ეს კი არ არის დასვენება. საჭიროა მათ ჯანმრთელობაზედაც მზრუნველობა და მეტი ყურადღება. ამათში არიან სუსტებიც, რომლებიც თხოულობენ დასასვენებელ სახლებში მოსვენებას და არ ეძლევათ ამის საშუალება.

მთელ ამ სეზონში მხოლოდ ორმა ისარგებლა დასასვენებელ სახლში წასვლით ისიც დიდი ხვეწნით და მუდარით.

ნუ თუ ჩვენ, კავშირის წევრები, არ უნდა ვსარგებლობდეთ დასასვენებელ სახლში მოსვენებით.

ჩვენ ფიზიკურ მუშაობაში ვიმყოფებით და განსაკუთრებულ მძიმე პირობებში.

ადგილკომო, გამოფხიზლდი და მიიღე სათანადო ზომები.

მუშკორი გ. დანდუროვი.

ამით გაუგებრობას ბოლო უნდა მოეღოს

(შრომის სახალხო კომისარიატის და სოციალური დაზღვევის სამმართველოს საყურადღებოდ)

(წერილი ფოთიდან)

დამზღვევი კასების ფონდების გაერთიანების და ცენტრალიზაციის შემდეგ შრომის სახალხო კომისარიატმა შესცვალა თვისი 1923 წლის 8 მაისის დადგენილება № 47-ის მე-5-ე და მე-4-ე მუხლები, და გამოსცა ახალი დადგენილება 1924 წლის 4 თებერვლის № 80-ით (იხ. ა | კ. სოც. დაზღვევის მოამბე № 4, გვ. 33), რომლის ძალით დაზღვეულები ღებულობენ დახმარებას იმ დამზღვევ კასიდან, რომლის რაიონში ისინი დროებით სცხოვრობენ და ამასთანავე გაცემული დახმარებების არავითარი ანაზღაურება კასებს შორის არ ხდება.

მიუხედავად ასეთი დადგენილებისა, ხშირია მაგალითები, რომ პროვინციის ზოგიერთი დამზღვევი კასები დაზღვეულებს საექიმო დახმარებას არ უწევენ არა თუ დაზღვევის წიგნაკების წარდგენით, არამედ დამზღვევ კასის ოფიციალური მიმართვითაც კი, რაც დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

ზოგიერთ კასებმა თუ გაუწიეს დახმარება სხვა კასების დაზღვეულებს, თხოულობენ გაწეულ ხარჯების ანაზღაურებას.

საჭიროა სოც.-დაზღვევის სამმართველომ მიაქციოს ამ არანორმალურ მდგომარეობას ყურადღება და სამმართველომ განუმარტოს პროვინციის დამზღვევ კასებს, რომ ზემოხსენებული მოვლენებს არ ექნეს ადგილი და დაზღვეული მუშა-მოსამსახურეებს მათი დროებით საცხოვრებელ ადგილებში დაუბრკოლებლად აღმოუჩინონ საექიმო და სხვა დახმარებები.

მუშკორი ვ. ჩოჩუა.

რად ეძლევათ კერძო პირებს შეკვეთები?

ომის ინვალიდთა ქარხანა-არტელი „პროგრესი“ მოთავსებულია გიორგის ქ. № 1. ეს არტელი არსებობს დაახლოებით ორი წელიწადი და შესდგება მხოლოდ ომის ინვალიდებისაგან.

ქარხანაში მზადდება: კანტორის წიგნები, ორდერები, ჩეკები, ბლოკნოტები, სწარმოებს წიგნების აკინძვა და სხვა კანცელარიის საჭირო საგნები.

არტელს პირველ თავიდანვე დიდი დახმარება გაუწია სოც. უზრ. კომისარიატმა სესხის მიცემით და შემდეგ საქ. ინვალიდთა კოოპერატიულმა შენაერთმა.

დიდი ეკონომიით და მცირეოდენი ჯამაგირების აღებით შესძლეს არტელის წევრებმა მეტ წილი ვალის გადახდა.

დიდათ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ გულგრილობა ამ ქარხნის მიმართ, რაიც გამოიხატება შეკვეთების მიუცემლობაში. რათ უნდა ეძლეოდეს კერძო პირებს შეკვეთები სახელმწიფო დაწესებულებიდან, როდესაც ასეთი სიმპატიური (როგორც ეს არა ერთხელ უთქვამს სახალხო კომისარს ამხ. კ. ხომერიკს) შრომის არტელი უფრო იაფად და კარგად დაამზადებს შეკვეთებს?

ამხ. მიხ. ცხაკაიას მოწოდება აშკარად ამბობდა: „ფულით დახმარებით სახელმწიფო ვერ უზრუნველჰყოფს იმ ომის ინვალიდებს, რომელთაც ოდნავ მაინც შერჩენიათ შრომის უნარი, არამედ საჭიროა მათი თვითშრომაში ჩაბმა. მიეცით საშუალება ომის ინვალიდებს გახსნან შრომის არტელები, გაანთავისუფლეთ ყოველგვარი გადასახადებიდან, (როგორც ეს რუსეთშია), რათა ამით შესძლონ კერძო პირების კონკურენციის გაწევა“-ო.

მოხსენებული არტელი „პროგრესი“ სახელმწიფო გადასახადებიდან თავისუფალია, მაგრამ მარტო ეს არ კმარა; საჭიროა ქალაქის აღმასკომმაც თუ მთლად არა, ნახევარი. დარაბის ქირით მაინც გაანთავისუფლოს არტელი.

გარდა ამისა, რაც მთავარია, სახელმწიფო დაწესებულებებმა არც ერთი შეკვეთა არ უნდა მისცენ კერძო პირებს, არამედ უშუალოდ უნდა გადასცენ არტელ „პროგრეს“-ს. ამით შესძლებს არტელი არსებობას და მძიმე ულლად აღარ დააწვება ომის ინვალიდები სარჩენად სახელმწიფოს.

ინფ. ჭ.

სენაკის მაზრის დამზღვევი სალაროს მუშაობა.

სენაკის მაზრის დამზღვევი სალაროს მუშაობა თანდათან ფართე ხასიათს ღებულობს და ის უფრო და უფრო ხდება პოპულიარული მუშა და მოსამსახურეებს შორის.

უმუშევრობის საკითხი მაზრაში მაინც და მაინც არა სდგას მწვავედ. ასეთების რიცხვი მაზრაში ექვსია. 1-ლ კატეგორ. მოსამსახურეებს დამზღვევი კასიდან—ეძლევათ 6 მ. 75 კ. დახმარება, ხოლო 2 კატეგორიისა—4 მ. 75 კ.—ყოველთვიურად, რაც ცოტათი მაინც აკმაყოფილებს უმუშევრებს. ინვალიდი აღრიცხულია 2. მათ ეძლევათ დახმარება 1 კატეგორიისას—13 მ. 50 კ., 2—კატ.—9 მან. ხოლო მე—3 კატეგორიისას 6 მ. 75 კაპ. თვეში. პენსიონერები კი 10 გვყავს. მათი დახმარება განისაზღვრება: 1 კატ.—4 მ. 50 კ. 2 კატ.—6 მ. 75 კაპ. და მე-3 კ.—9 მან. თვიურად.

მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახების წევრები ყველა დაზღვეულია. სალარო აკავშირებს 1.728 მოსამსახურეს და მათი ოჯახის 5.184 წევრს—სულ 6.912 წევრს. მოსამსახურეებში მამაკაცია 1.489, დედაკაცი—კი 239. ბავშვის დაბადების დროს მუშა-მოსამსახურეს ეძლევა 13 მანეთის დახმარება ერთდროულად, ხოლო ყოველთვიურად რძის ფული 3 მ. 50 კ., რაც საგრძნობლად აუმჯობესებს მუშა-მოსამსახურის მატერიალურ მდგომარეობას. თანახმად შრომის კომისარიატის უკანასკნელი მომართვისა, ზემოდასახელებული დახმარებები გადიდებულია 1 აგვისტოდან, მაგრამ რადგანაც 1 აგვისტოსთვის ყოველგვარი დახმარება უკვე გაცემულია მუშა-მოსამსახურეთათვის, ამიტომ მომატება გატარდება **მაზრაში 1 სექტემბერიდან**—(მოწერილობა შრ. სახ. კომისარიატიდან ამის შესახებ, მიღებულ იქნა ძალიან გვიან). მაზრაში 11 სარაიონო ექიმია ქალაქ სენაკში კი დამზღვევ კასას დაქირავებული ყავს სპეციალურად ერთი ექიმი—ვენეროლოგი, 1—კბილის ექიმი და 1—შინაგანი ავათმყოფობის,—სულ სამი. ქირურგი არ არის წამლობა და ექიმობა დაზღვეულთათვის ყველგან სწარმოებს წესიერად და არც ერთ ექიმთან არავითარ კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია.

არიან ისეთი დაზღვეულები, რომელნიც სხვა დამზღვევ კასას ეკუთვნიან, მაგრამ დაზღვეული ოჯახი აქ, სენაკში ყავთ,—ესენი, დაახლოებით 28 წევრი, აქვე იღებენ საექიმო დახმარებას.

მიმდინარე გაზაფხულზე დამზღვევ სალარომ პროფკავშირებთან შეთანხმებით აგარაკებზე გაგზავნა მუშა-მოსამსახურეები: არაზინდოში 3, აბასთუმანში 2, ბორჯომში 2, დასასვენებელ სახლებში 14, ხოლო ადგილობრივ აგარაკზე: „ლებარდე-ჩეგოლაზე“ 45 კაცი, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობას.

საერთოდ დამზღვევი კასის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. თანამშრომელნი ერთგულად ეკიდებიან მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევის საქმეს და კეთილსინდისიერად ასრულებენ მოვალეობას. მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება, რაც აფერხებს დამზღვევი სალაროს ნორმალურ მუშაობას; ეს გახლავთ დავალიანება. არიან ორგანიზაციები, რომელთაც დასაზღვევი თანხა არ შემოუტანიათ ივლის-აგვისტოს თვეების, დაახლოებით ცხრაათას მანეთამდე. ეს აიხსნება ფულის ნიშნების კრიზისით, რაც მეტად საგრძნობი შეიქნა ქ. სენაკში.

ინფ. უჩა.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **რკ. გზის შრომის ინსპექცია.** ა. კ. რკინისგზელთა მეხუთე ყრილობისათვის ა. | კ. რკ. გზ. შრომის ინსპექცია ამზადებს ერთი წლის მოქმედების ანგარიშს.

— **ლექცია კითხვა პასუხით.** ა. კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ განათლების სექციამ დაადგინა მოაწყოს მუშებისათვის ლექციები კითხვა-პასუხით მთელ ა. კ. რკ. გზ. ხაზზე.

— **გაეროვნების მიზნით.** ა. კ. რკ. გზ. დამზღვევ სალარომ დაამტკიცა შტატი ბაქოს საუბნო სალაროში ერთი თურქული ენის მცოდნე პირისა.

— **ნაკლის გამოსასწორებლად.** ა. კ. რკ. გზ. დამზღვევი სალარო შუამდგომლობს ა. კ. ჯანმრთელობის განყოფილებასთან ბათომის ტალახით მკურნალობისა და საექიმო დახმარების ზოგიერთი ნაკლის გამოსასწორებლად.

— **ფოტოგრაფიული სურათები.** 25 აგვისტოდან ა. კ. დამზღ. სალარო შეუდგა დასასვენებელ სახლებისა და სანატორიუმების ფოტოგრაფიული სურათების გადაღებას.

გადაიღება აგრეთვე ავადმყოფების ფოტოგრაფიული სურათები.

— **ვაგონი მუზეუმი.** ა. კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის ვაგონი-მუზეუმი ამჟამად სამხრეთის ხაზზეა. ახლო ხანში გადაიგზავნება აღმოსავლეთ ხაზზე.

— **უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესი.** ა. კ. რკინისგზელთა პროფკავშირის კულტგანყოფილების დადგენილებით უმაღლეს სასწავლებლებში გაიგზავნებიან მხოლოდ ის რკინისგზელები, რომლებმაც დაამთავრეს მუშფაკები.

— **სახელმწიფო დაზღვევა მუშებში.** თბ. დეპოს ადგილკომის სადელეგატო კრებამ დაადგინა აწარმოოს ფართო აგიტაცია მუშათა შორის სახელმწიფო დაზღვევაზე.

— **დასახიჩრებულთათვის.** ა. კ. რკ. გზ. დამზღ. სალარო შუამდგომლობს სოც. უზრ. სახ. კომ. რათა ინვალიდთა სახლებში გადაგზავნილ იქნენ ზოგიერთი სამუდამო დაშავებული შრომის ინვალიდები.

კავშირიდან გამორიცხვები

— **სპირტის გაყიდვისათვის.** დეპოს ადგილკომის დელეგატურმა კრებამ კავშირიდან გამორიცხა სპირტის ზიდვისათვის ლავრენჩუკი (მატარებლის გამცილებელი.

— **ლოთობისათვის.** იმავე დელეგატურმა კრებამ გამორიცხა კავშირიდან ლოთობისათვის მზეთა[illegible] ჟდანოვი.

— **გაფრთხილება ლოთობისათვის.** თბ. დეპოს ადგილკომმა ლოთობისათვის გაფრთხილება მისცა მატარ. გამცილებელ ლიუდოვსკის.

რკინისგზელ ქალთა შორის

— **აქტიური მუშაობის გასაძლიერებლად.** 1-ლი რაიონის რკ. გზელ ქალთა განყოფილებამ დაადგინა აწარმოოს აქტიური მუშაობა „ზაკპო“-ს მუშა-მოსამსახურე ქალთა შორის.

— **მუშა ქალები ენერგიულად მუშაობენ.** იმავე რაიონის რკ. გზელ ქალთა განყოფილებამ გამოჰყო კომისია 10 ქალის შემადგენლობით რომელიც აწარმოებს მუშაობას მუშა ქალთა და დიასახლისთა დასაახლოვებლად.

ს. ჭელიაღელე (რაჭა)

ეს სოფელი მდებარეობს ქუთაისის მაზრის საზღვარზე ნაქერალის უღელტეხილის მახლობლათ. მცხოვრებლები ღარიბი გლეხებისაგან შესდგებიან. მათი რიცხვი დაახლოვებით უდრის 130 კომლს. ეს სოფელი შედის ჭელიაღელის რაიონში სხვა ყოფილ სამ თემთან ერთად. არსებობს რაიონული აღმასკომი, რომელსაც აქვს ფართო სამუშავარი ასპარეზი და ასრულებს ყოველივე მუშაობას პირნათლად. არსებობს რაიონული მილიციის სამმართველო; არსებობს რაიკომი, როგორც კომპარტიისა, აგრეთვე კომ-კავშირის. ამ სოფელში დიდი ხნიდან არსებობს სკოლა, რომელსაც ეხლა 7 წლიან შრომის სკოლას უწოდებთ (ძველად ოთხკლასიანი უმაღლეს დაწყებითი და 8 წლ. მთ. შრ. სკოლის სახ. არს.). შენდება ეხლა 9 წლიან შრომის სკოლა. მუშაობა დაწყებულია და საშენებელ მასალათაც ძლიერ მოსახმარი ხდება ყოფილი ეკლესიები. დაარსდა ამ სოფელში ამ ცოტა ხნის წინეთ სარაიონო „ეპო“, რომლის პაის მოკრეფაში დიდ დახმარებას უწევენ გამგეობას, კომ-პარტიასთან ერთათ ადგილობრივი კომ-კავშირის უჯრედის წევრები. გლეხობაც ძლიერ დაინტერესებულნი არიან კოოპერატივებით და იხდიან საპაიო გადასახადს. არსებობს რაიონული ქოხ-სამკითხველო ამხ. „ეგ. ნინოშვილის“ სახელობის (ადგილობრივ კომ-კავშირის უჯრედის ინიციატორობით). ამ სოფელში არის სარაიონო საექიმო პუნქტი, რომლისთვისაც განსაკუთრებული შენობა შენდება. ეწყობა კლუბი ყოფილ ეკლესიაში, რომელიც ძლიერ მოხდენილია კლუბისთვის. შენდება აფთიაქი და სხვა. ყველა ამ საამშენებლო მუშაობაში კომპარტიის წევრებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ადგილ. ლ. ა. კ. კ. უჯრედის წევრები. საამშენებლო მუშაობით გლეხობა ძლიერ კმაყოფილია.

დათიკო მომცელიძე.

ს. დარბაიძეები (შორაპნის მაზრა

სოფელი დარბაიძეები მდებარეობს ქ. ჭიათურიდან დაახლოებით ექვსი ვერსის მანძილზედ. წარსულ წლებში აქ არსებობდა ერთი დაბალი საფეხურის სკოლა, რომელიც საშუალებას აძლევდა ადგილობრივ გლეხობას თავიანთი შვილებისათვის წერა-კითხვა აქ შეესწავლებიათ. მაგრამ ამ სკოლას ვერ დაურჩა მტკიცე ნიადაგი. საკუთარი შენობა მას არ ჰქონდა. სკოლა მოთავსებული იყო ნაქირავებ სახლში. მასწავლებელთა შტატების შემოკლების დროს ეს სკოლა მოხსნილ იქნა და დატოვებული შტატგარეშე.

მიუხედავათ სკოლის დახურვის სასკოლო კომისია მაინც არ დაშლილა და განაგრძობდა მუშაობას. 1923 წელში მან შეიტანა განცხადება პერევისის სათემო აღმასკომში, რომელშიც სკოლისათვის თხოულობდენ სოფელ პერევისაში მცხოვრებ მემამულე ნესტორ ზაქარიასძე წერეთელზედ მიწის რეფორმის გატარების დროს ჩამორთმეულ ერთ ხის სახლს.

ეს განცხადება განხილულ იქნა სათემო საბჭოს სხდომაზედ. საბჭომ დაადგინა: მცხოვრებთ მისცემოდათ ზემოხსენებული შენობა ადგილობრივ დარბაიძეებში სკოლის ასაგებათ.

ამ დადგენილების ოქმის ასლი გადაეცა შორაპნის სამაზრო აღმასკომს, რომელმაც პერევისის სათემო საბჭოს დადგენილება დაადასტურა.

მცხოვრებნი ამ გარემოებას დიდი აღტაცებით შეხვდენ. შენობა გადაიტანეს თავიანთ სოფელში, რომლის აშენება ეხლა უკვე დამთავრებულია. ამ შენობაში წელს გაიღება ქოხ-სამკითხველო, შემდეგისათვის კი დაბალი საფეხურის სკოლა.

ასე და ამ გვარათ ილვიძებს ძველი რეჟიმის დროს დაბეჩავებული გლეხობა და მისწრაფვის სწავლა-განათლებისაკენ.

აბესალომ პერევისელი.

უპარტიო გლეხთა მეორე კონფერენცია სართიჭალაში (გარე-კახეთი)

24 აგვისტოს გარე-კახეთში, სართიჭალაში შესდგა უპარტიო გლეხთა მეორე კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 42 სოფლის დელეგატი რიცხვით 300 კაცამდე.

უპარტიო გლეხთა 1-მა კონფერენციამ მაისში დასტოვა დიდი შთაბეჭდილება, თუმცა უნდა ითქვას, რომ პირველ კონფერენციაზე მოსული გლეხი-დელეგატი მორცხვ სტუმრად სჩანდა, მას ვერ გამოეთქვა ყველაფერი ის, რაც აწუხებდა, ან ეჭვობდა, რომ მისი სიტყვა „დარჩებოდა ხმად მღაღადებელ უდაბნოსა შინა“. მეორე კონფერენციაზე თამამად, სრული იმედით მის დადგენილების განაღდებისა, გამოსთქვა გულში ნადები, რაც კი აწუხებდა მის ჯერ კიდევ არა სავსებით მოუწყობელ სოფელს, აყენებს თამამად საკითხს და იღებს მხურვალე მონაწილეობას კამათში.

კონფერენციამ აგრეთვე, სხვათა შორის, მოისმინა ამხ. გიორგი ელისაბედაშვილის მოხსენება, რომელმაც ფართოდ, ხალხურ ენაზე გაუშუქა კონფერენციას ჩვენი საგარეო მდგომარეობა: ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულება, ჩვენი მტრების განზრახვა და და საერთაშორისო ძალების განწყობილება და სხვა.

კონფერენციამ ფიცი დასდო, რომ გაჭირვების დროს პირველ მოწოდებასთანავე შეუტევთ მტერს ჩვენი მუშურ-გლეხურ სამშობლოს ბჭებზე მოსულთ.

კონფერენციას მიესალმა წითელ ჯარის წარმომადგენელი იმ აღთქმით რომ ის მუდამ ფხიზლად იდგება რევოლიუციის მონაპოვრის სადარაჯოზე.

კონფერენციამ დაადგინა სართიჭალაში საავადმყოფოს და თეატრის აშენება, რისთვისაც მთარობამ დაუთმო გომბორის ყაზარმები, რომლის გადმოტანა თვით სოფელმა იკისრა, მათი დელეგატების პირით.

კონფერენცია სიხარულით შეხვდა პარტკომისა და აღმასკომის განზრახვას—სართიჭალაში ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენების შესახებ, და მისცა თავისი დასტური.

იერიის არხის გაყვანის საკითხი იყო მეტად მწვავე. მარტყოფისა და ნორიოს თემი იღუპება უმოსავლობით არხის უქონლობის გამო. გლეხი იძულებული ხდება პური შიდა კახეთიდან შემოიტანოს. ამიტომაც კონფერენციამ, აღუთქვა რა თავის მხრივ ყოველგვარი დახმარება, დაავალა ადგილობრივ ხელისუფლებას თავს იდოს აღნიშნულ არხის გაყვანა.

ალ. ხეხნიაშვილი.

უშაფათის თემი (სენაკის მაზრა)

22 აგვისტოს აქ მოხდა მასიური კრება.

დღის წესრიგში იდგა: მოხსენება შინაამშენებლობის კამპანიის შესახებ. მოხსენება გააკეთა სამაზრკომის წარმომადგენელმა ამხ. ლ. გაგუამ.

მომხსენებელი შეეხო: გზას, სკოლას, კოოპერატივს და მოგებიანი ობლიგაციების შეძენის საკითხს.

კოოპერაციას მომხსენებელი ფართოდ შეეხო, განმარტა „ეპო“-ს დადებითი მხარეები და მოუწოდა მშრომელებს მიეღოთ აქტიური მონაწილეობა კოოპერაციის აღმშენებლობაში.

როცა კრებამ გაიგო, რომ საჭიროა პაების გაღება, შეჩერდა, კრინტიც არ დაუძრავს.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ფულის გაღება სოფელს მეტად ემძიმება. ერთი ის, რომ ფული არ არის, მეორე მენშევიკების დროს არსებული კოოპერატივის გაკოტრება აგონდებათ, კოოპერაციის გავრცელებისათვის სოფლად არ კმარა მარტო ერთი და ორი მოხსენება.

ამ მხრივ საჭიროა სისტემატიური აგიტაცია-პროპაგანდა, რომ მშრომელმა მასამ შეგნებულად მიიღოს მონაწილეობა კოოპერაციაში.

გლეხკორი: ა. ხ—რია.

ქრონიკა

ფიზიკური განვითარების საჭიროება

ფიზიკურმა განვითარებამ ამ სულ რამოდენიმე ხანში საგრძნობლად გაიდგა ფესვი არა მარტო ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელ რუსეთშიაც. და აქ, თბილისშიაც შარშან 1923 წლის ბოლო თვეებში დაარსდა ფიზიკური განვითარების უმაღლესი საბჭო, რომელიც განაგებს საქართველოს ყველა კუთხეებში არსებულ ყველა სპორტ-ორგანიზაციებს და წრეებს. ეს ფიზიკურ განვითარების უმაღლესი საბჭო სცდილობდა და სცდილობს კიდევაც, რომ ფიზიკურად განავითაროს რაც შეიძლება მეტი რიცხვი კომკავშირის წევრებისა და მშრომელ ახალგაზრდობისა. მაგალითისთვის ავიღოთ რომელიმე თბილისის უბანი. თუნდაც ქალაქის 4ე- უბანი, სადაც ფიზიკური განვითარების წრეების რიცხვი უდრის 25-ზე მეტს. მოვარჯიშეთა რიცხვი უდრის არა ნაკლებ 900 კაცისა, ამათგან 70 პროც. კომკავშირის წევრებია (40 პროც. ვაჟები და 30 პროც. ქალებია, დანარჩენი 30 პროც. კი უპარტიო პროფკავშირის მშრომელი ახალგაზრდობაა. ეს ერთი უბანში, მაგრამ თბილისში 4 უბანია და დანარჩენ უბნებიც მოვარჯიშეთა რიცხვის მიხედვით ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ ზემომოყვანილი რიცხვი მოვარჯიშეებისა ეკუთვნის თბილისს, და საქართველოს თბილისთანა კუთხეები ბევრი აქვს და მაშასადამე მოვარჯიშეთა რიცხვიც რასაკვირველია დიდი იქნება. ყველაფერი ეს განვითარდა და მოეწყო ამ რამოდენიმე ხანში, მაგრამ შემდეგ კი ცხადია, რომ უფრო და უფრო გაიზარდება, ახალგაზრდობას უფრო მეტი რიცხვი განვითარდება ფიზიკურად მშრომელი ახალგაზრდობისა, რაც კი იქნება საბჭოთა კავშირისთვის ერთ ერთი იარაღი მისი მუდამ გამარჯვებისა. მაგრამ ზოგი მოქალაქე ამ ფიზიკურ განვითარებაზე რაღაც ცუდი შეხედულებისაა, თითქოს ეს მოაქვს ადამიანისთვის ცუდი შედეგები და ვითომ ადამიანის ჯანსაღობისათვის იგი საზარალოც იყოს. ამის შესახებ მე ვიტყვი, რომ მოქალაქეების ასეთი აზრი და შეხედულება სიმართლეს მოკლებულია, რადგან ფიზიკურ განვითარების წრეებში ასეთ შედეგებს ადგილი არ აქვს. ამას გარდა მეცადინეობა სწარმოებს ასეთ წრეებში ექიმის შემოწმების შემდეგ და გამოცდილ მწვრთნელის ზედამხედველობის ქვეშ. მაგრამ ასეთი აზრები, ასეთი ცუდი შეხედულებები წრეებში მეცადინეობის შესახებ—გამოიწვიეს ისეთმა პირებმა, რომლებიც არ იყვნენ გაცნობილნი ფიზიკურ განვითარებასთან და ისე იწყობდნენ ვარჯიშობას თავის ნებით უწვრთნელად, დაურიგებლად—მუდამ დღე (თუ კი შესძლებდნენ) განუსაზღვრელ საათებით და წესის გარეშე. რასაკვირველია ასეთი მეცადინეობა იმ „თავის ნება“ მოქალაქეებს მიიყვანდნენ ცუდ შედეგებამდე, რის გამოც ისინი ჩირქს სცხებენ ამ ფიზიკურ განვითარების წრეებს.

არა თუ ფიზიკური განვითარება, არამედ ჭამაც კი საზარალოა და დამახინჯებელი ადამიანის, თუ კი ადამიანმა არ იცის თავის ჭამის ზომა და წესი. სწორედ ეგრევეა ფიზიკური განვითარებაც; ის სასარგებლოა თუ ივარჯიშებთ წესიერად, განსაზღვრულ დღეებში და საათებში, ზომიერად და თავის დროზედ. როგორ და რაში გამოიხატება ფიზიკური განვითარება?

ადამიანს ნავარჯიშევს რამოდენიმე ხნის შემდეგ ფიზიკურად ემატება სისხარტე, სიმარდე, სიჯანსაღე, ღონე, მოქნილობა და სხვა. აქედან ჩვენ უკვე ვხედავთ, თუ როგორ საჭიროა ფიზიკური განვითარება ჩვენ მშრომელ მუშა-ახალგაზრდობისათვის, და სწორედ კიდევაც უნდა მიაქციოთ ამ ფიზკულტურას ყურადღება.

მაშასადამე სჯობია ისევ, რომ ვარჯიშობდეს ადამიანი ფიზიკური განვითარების წრეებში—რომ მიიღოს კიდევაც კარგი შედეგები და არა ისე, როგორც ვარჯიშობენ „თავის ნება მოქალაქეები“ და შედეგად კი ღებულობენ სულ სხვა რამეს.

ალ. გურახაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ყველა ის ამხანაგები, რომელთაც გზავნის საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი სწავლის გასაგრძელებლად საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში, უნდა გამოცხადდენ დღეს, 3 სექტემბერს საორგანიზაციო თათბირზე გამგზავრების დროის და წესის შესახებ.

თათბირი შესდგება დღის 12 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტაციო—საპროპაგანდო განყოფილებაში.

საინიციატივო ჯგუფი.

განცხადებები

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის

საწერი ქაღალდის განყოფილება

მთავარი კანტორა პლეხანოვის პრ. № 50

მომავალ სამოსწავლო სეზონისათვის

მიღებულია

სხვადასხვა საკანცელიარიო ნივთების

დიდი პარტია უშუალოთ პირველ ხელებიდან

ამავე დროს საკუთარსახელოსნოში დამზადებულია დიდძალი საწერი ქაღალდი და ასაკინძავი საგნები, როგორც მაგალითად: საკანცელარიო წიგნები, ბლოკ-ნოტები, ჟურნალები, სხვადასხვა ალბომები, ჩასაწერი წიგნაკები და სხვ.

რვეულები დიდი რაოდენობით.

ფასები ძალიან დაკლებულია.

კოოპერატივებს, სახალხო განათლების განყოფილებებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, სამეურნეო ორგანოებს ბითუმად ყიდვის დროს ეძლევათ განსაკუთრებული პროც. გამორიცხვა საბითუმოდ ფასებიდან და შეღავათიანი პირობები.

შესრულება—სწრაფად და თავის დროზე.

შეკვეთა მიიღება: მაღაზია № 1—თავისუფლების მოედანი № 7 (ყოფ. ერევნის მოედანი), მაღაზია № 2—კ. მარქსის მოედანი, № 3 (ვორონც. ყოფ. ძეგლი), სახელოსნოში—პლეხანოვის პრ., № 50.

25 სექტემბრიდან იხსნება განყოფილება ქუთაისში, სადაც საქონელი გაიყიდება თბილისის მაღაზიებში არსებული ფასების მიხედვით. ნის. 1468. 2—1.

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო აცხადებს

რომ კახეთის ხაზის საფოსტო მატარებლების განსატვირთავად, 1 სექტემბრიდან თბილისსა და გურჯაანს შორის დანიშნულია დღე გამოშვებით ორი საბარგო-სამგზავრო მატარებელი № 21 და 22 შემდეგი განაწილებით:

მატ. № 22—კახ. გადის თბილისიდან დილის 10 საათზე კენტ რიცხვებში.

მიდის გურჯაანში დღის 5 საათზე და 35 წუთზე ლუწ რიცხვებში.

მატ. № 21—კახ. გამოდის გურჯაანიდან დილის 8 საათზე ლუწ რიცხვებში.

თბილისში მოდის დღის 3 საათ. 30 წუთზე. 1—1 № 1467.

სწარმოებს ხელისმოწერა 100 სხვადასხვა ჟურნალზე

აუცილებლად წაიკითხეთ

და დაიხსომეთ პირობები მუშათა კრედიტისა ლიტერატურაზე:

რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამის ამიერ-კავკასიის განყოფილებაში

აძლევს კოლექტივებში შეკავშირებულ ყველა მუშებს და მოსამსახურეებს წიგნებს ნისიათ 3 თვის ვადით.

აღნიშნულ პირებს ეძლევათ შეღავათი საგამომცემლო ფასიდან 15 პროცენტი რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამის გამოცემებზე და 10 პროცენტი სხვა გამოცემებზე.

შეიძლება წიგნების არჩევა დიდი რაოდენობით მეცნიერების ყველა დარგიდან, საბჭოთა კავშირის ეროვნებათა ყველა ენებზე.

გამოიძახეთ წარმომადგენელი ტელეფონით—№ 19—02

წიგნის მაღაზიები თბილისში—რუსთაველის პრ. № 16.
ბათომში—მე-3-ე ინტერნაციონალის ქუჩა, № 15.

ნ. 1445 2—2

სწარმოებს ხელისმოწერა 100 სხვადასხვა ჟურნალზე

სწარმოებს ხელისმოწერა 100 სხვადასხვა ჟურნალზე

სწარმოებს ხელისმოწერა 100 სხვადასხვა ჟურნალზე

ს. ს. რ. კ.

სრულიად რუსეთის სილიკ

„პროდსილიკა

თბილისის განყოფილება: სომხების ბაზა

ტელეფონი № 10—65.

ჰყიდის

ფანჯრის მინებს ბემის და ნახევრადთეთრი
ფაიფურის და ფაიანსის ჭურჭელს სახაიე და
ბოთლის ჭურჭელს, ლამპის შუშას, ბოლ
ცეცხლის მძლე აგურს და სხვა.

სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატივებს ეძლევათ
ვათი. სილიკატის მრეწველობას მინიჭებული აქვს მო
ნოპოლიური უფლება ფანჯრის ბემის და ნახევრად
მინებზე, რომელსაც ამზადებს „ქიმუგოლი“ და „
სინდიკატი“ და სხვ. ბემის მინა ცალფა, ერთნა
და ორმაგი მიღებული იქნება საწყობში; ნახევრადთ
საწყობშია. 2—2

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსად
სამუშაოთა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 სექტემბერს მის მიერ

დანიშნულია შეჯიბრ

თავარი ქვე-სადგურის (ქალაქის ელსადგურის № 1 გვერ
გებ სამუშაოთა გაცემაზე ქალ. თბილისში.

ეს სადგური შესდგება ერთი დიდი აგურის ორ-სართულიანი
ვან, მოცულობით დაახლოვებით 1950 კუბ. მეტრისა, რომელს
ბული ექნება აგურის ერთ სართულიანი შენობა, მოცულობით
ბით 731 კუბ. მეტრი და აგურის პატარა შენობისაგან, მოცულ
კუბ. მეტრი.

ყველა შენობები რკინა-ბეტონის გადახურვით და ჭერით

ყველა სამუშაო სწარმოებს მონარდეს მასალებით და მ
ებით.

ზაჰესკომიდან მონარდეს მიეცემა დიდუბეში მხოლოდ
კერეზიტი.

ვადა სამუშაოს დასამთავრებლად 6 თვე.

დანიშნულ ვადაზე სამუშაოს დაუმთავრებლობისათვის
ღევინებს მონარდეს ჯარიმას. ვადაზე გადაცილებულ თითო
დაუმთავრებელ სამუშაოს ღირებულობის 1 პროც. ხელშ
ის მიხედვით.

ის პირნი, რომელთაც სურთ მთლად აიღონ ხსენებ
მოიტანენ წერილობითი განცხადებას ღერბის მარკების
რილს დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე, ჩადებულს დაბეჭდ
წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს მთავარი ქვე-სადგ
რებაზე 5 სექტემბერს 1924 წ.“, რომელ რიცხვშიც 12 საა
კონვერტების გახსნა.

განცხადებას უნდა ჰქონდეს დართული ქვითარი [illegible]
ში განცხადებული თანხის 5 პროც. [illegible] შეტანის

საწინდარი უძრავ ქონების სახით არ მიიღება.

წინდაწინ საწინდრის შეტანისაგან თავისუფლდებიან სა
ორგანოები და აღნუსხული მუშათა ამხანაგობანი (არტელები).

იმ პირთა და ორგანიზაციებს, რომელთაც სამუშაო არ მი
ჯიბრების შედეგების გამოკვლევისთანავე საწინდარი სასწრაფოთ
უნდებათ. ხოლო საწინდარი იმ პირისა და ორგანიზაციისა,
ამუშაო მიიღო, რჩება ზაჰესის სალაროში და გადიდებული
პროც.-მდე პირველად მისალებ თანხიდან დაჭერით, და დაუბრუნ
მთლიანად მხოლოდ მაშინ, როცა სავსებით და რიგიანათ შეასრულ
ამუშაოს. სახელმწიფო ორგანოების და მუშათა არტელების საწინდა
მიერ განცხადებული ფასის 10 პროც.-ის რაოდენობისა შესდგე
ვედრი ფულისაგან 15 პროც.-ის დაჭერით.

დაწვრილებითი პირობების, ნახაზების, სამუშაოთა რაოდენო
ტეხნიკური პირობების განხილვა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყ
ბაში (ოთახი № 4) ყოველ დღე 10 საათიდან დღის 12 საათამდე,
ლადო დუმბაძის ყოფ. ველიამინოვის ქ. № 3) იქვე იძლევიან
დებისათვის დაწესებულ ნიმუშის ბლანკებს.

სამუშაოთა უფროსი ინჟინერი: [illegible]

3—2 ნ. № 145

თბილისის აღმასკ. კეთილ-მოწყობის განყოფი

ამით აცხადებს, რომ ა. | წ. 4 აგვისტოს, დღის 1 საათზე დანიშნულ
ვარო ვაჭრობა (ოთახი № 43) თავისუფლების მოედანი და [illegible]
ნის შუა ქუჩის გაგანიერების მიზნით შენობების დაშლაზე.
ბების და პირობების გაგება შეიძლება აღმასკომის „შენობაში,
№ 50, დილის 11 საათ. 1 საათამდე.

3—2 ნ. 1.466. აღმასკომის კეთილ-მოწყობის განყოფილე

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მე
ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელ

ბით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ცივზე
ბა—შეშხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიულ-
ლება და კიბოს წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 (დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. 1562

დაკარგე მე10 სამილიციო უბნიდან მოცემული სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი არქიფო ნ. ბახტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა და პირადობის მოწმობა აკაკი პეტრეს ძე სიგუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგე პირადობის ქაღალდი № 1.833 ალექსი სტეფანესძე გვენეტაძე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 25,836, კავშირის წიგნაკი გიორგი ხომიზურის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 111 კონსტანტინე მალაქიას ძე დვალის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაკარგე [illegible] ლის სახელზე № 256. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე მე-9 უბნის სამ
გიდიდან მიღებ
ხედრო საალრიცხვო მოწმობა, [illegible]
ლაროს წიგნაკი, [illegible] წიგნაკი, [illegible]
რიცხვო მოწმობა გიორ
ზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე სამხედრო + საალ
ქარათი, მოცემულ
უბნის სამხედრო ხელმძღვანელისაგა
ლი რომანოზის ძე მეგრელიშვილის ს
№ 1.231. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე უნივერსიტეტის
ული № 2230 სახ
ფო უნივერსიტეტის აგრონომიულ
ტეტის სტუდენტმა ესუდან ნაკაშიძე
თვალოს გაუქმებულ. 1—

ტირაჟი — 15.500

სტამბა „[illegible]“, [illegible] ქუჩა № 4.